852/2w 11793

# საორბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 2 ნოემბერი 1993 № 21 (68) ფასი 750 კუპონი

**2** დროა ნაკრებებს მივხედოთ

განაცხადა ნოდარ ახალკაცმა

**3** „შევარდენის" სამი ვეშაპი

ქიტიაშვილი, ხურცილავა, ჯიქია

**4** მთელი ოჯახით „ნოუ კამპზე"



ხორდი კრუიფი — „ბარსელონის" ახალი ფორვარდი

**7** მოშვიდკაცე „გუმარი"




ქართველი ბიზნესმენები მალაიზიაში

**8** ხმა მიეცით მოლიტორს

ამერიკაში კეტბურთის სეზონი დამთავრდა



# № 13 ნაცვლიშვილი

თბილისის „კაქტუსს" გულშემატკივარი განსაკუთრებით სწყალობს. ძირითადად 17-18 წლის ბიჭებისაგან დაკომპლექტებული ეს გუნდი (ყოფილი „მართვე") ემოციურ, ლამაზ კალათბურთს თამაშობს და ალბათ ამიტომაც, თვით ჩემპიონ „ვითასთან" მატჩშიც მაყურებელთა უმეტესობა მას უჭერდა მხარს. მწვანეთა მე-13 ნომერი ვახტანგ ნაცვლიშვილი (შინაურულად ვატოს ეძახიან) 1976 წელსაა დაბადებული. მისი სიმაღლეა 205 სმ. პირველი ჯგუფის ოთხ შეხვედრაში მან 127 ქულა მოუტანა გუნდს (საშუალოდ 31,7 ქულა ერთ მატჩში). მისი ნატყორცნების 66 პროცენტი კალათში მოთავსდა, მაგრამ რაც სანახაობის მოყვარულთათვის ყველაზე მთავარია, ვახტანგი ეფექტურად ჩატენვის ოსტატია, რასაც გია ახალაძის ფოტოც ადასტურებს

ინტერვიუ ვახტანგ ნაცვლიშვილთან საკალათბურთო ჩემპიონატის სხვა მასალებთან ერთად იხილეთ მეხუთე გვერდზე

## იოსელიანი — სე ცზიუნი 0,5:3,5

მესამე პარტია. 29.10
იოსელიანი — სე ცზიუნი
ძველინდური დაცვა

1. d4 მ f6 2.c4 g6 3. მ c3 კ g7 4. e4 d6 5. კ e2 0-0 6. მ f3 e5 7. 0-0 მ c6 8. d5 მ e7 9. მ d2 a5 10. a3 მ d7 11. ე b1 f5 12. b4 მფ h8 13. f3 c6 14. dc მ: c6 15. მ b3 ab 16. ab მ: b4 17. ლ: d6 მ a2 18. კ b2 კ: c3 19. კ: c3 ე a2 20. ე b2 ე: b2 21. კ: b2 fe 22. fe ლ b6+ 23. ლ: b6 ე: f1+ 24. მფ: f1 მ: b6 25. კ a3 მ a4 26. კ d6 კ d7 27. მ d2 კ c6 28. კ d3 მფ g8 29. c5 მფ f7 30. მ f3 მფ e8 31. კ c2 ყაიმი

მეოთხე პარტია 31.10
სე ცზიუნი — იოსელიანი

1. e4 c5 2. მ f3 d6 3. d4 cd 4. მ: d4 მ f6 5. მ c3 მ c6 6. კ e2 e5 7. მ f3 h6 8. 0-0 კ e7 9. ე e1 0-0 10. h3 კ e6 11. კ f1 ლ a5 12. მ b5 a6 13. მ: d6 ლ c5 14. მ f5 კ: f5 15. ef ე ad8 16. მ d2 e4 17. c3 კ d6 18. ლ e2 ე fe8 19. მ c4 კ c7 20. კ e3 ლ: f5 21. a4 მ d5 22. ე ad1 ლ e6 23. კ c1 f5 24. მ e3 ლ e5 25. g3 მ f6 26. მ g2 ლ e7 27. მ h4 ლ e6 28. მ g6 მფ h7 29. მ f4 ლ e7 30. ე: d8 ე: d8 31. ე d1 მ e5 32. კ e3 ლ f7 33. კ d4 მ f3+ 34. მფ g2 g5 35. კ: f6 კ: f6 36. მ d5 კ g7 37. ლ c4 f4 38. მ c7 ე e7 39. ლ: f7 ე: f7 40. მ e6 კ e5 41. კ c4 fg 42. fg g4 43. hg ე e7 44. ე d7 ე: d7 45. მ f8+ მფ g7 46. მ: d7 კ d6 47. a5 კ c7 48. კ d5 კ: a5 49. კ: e4 მ d2 50. კ: b7 მფ f7 51. კ: a6 მფ e6 52. მ c5+ მფ d5 53. მ d3 მ e4 მავებმა დროს გადააცილეს.

## კარპოვს ყაიმიც აწყობს

ანატოლი კარპოვსა და იან ტიმანს შორის მე-19 პარტია ყაიმით დასრულდა. კიდევ ერთი ყაიმიც და რუსი მოჭადრაკე ფიდე-ს ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ, მე-20 პარტიაში ტიმანმა გაიმარჯვა და კარპოვს ზეიმი გადაუვადა. ანგარიშია 12-8 რუსის სასარგებლოდ.

გარი კასპაროვმა და ნაიჯელ შორტმა კი ლონდონში კიდევ ორი შეზღუდულრეგლამენტიანი პარტია ითამაშეს. ორივე ჩემპიონმა მოიგო.



## მენსელი გადარჩა

კვირას მარცხი შეემთხვა „ფორმულა-1-ის" შარშანდელსა და „ინდიკარის" წლევანდელ ჩემპიონ ნაიჯელ მენსელს. ამერიკაში გამარჯვების შემდეგ მენსელი შინ, ინგლისში დაბრუნდა და დონინგტონში ე.წ. სატურნეო მანქანების რბოლაშიც ჩაება. მენსელი სულ რაღაც 120 კმ-სთ სიჩქარით მიაგელვებდა მანქანას, როცა ისეთი ავარია შეემთხვა, რომ რბოლა მყის შეწყვიტეს, მრბოლის მანქანიდან ამოყვანას კი ნახევარი საათი მოანდომეს. იღბლად, მენსელი გადარჩა — ოდენ თავი და ფეხი დაიშავა და დღესდღეობით ნოტინგემის ჰოსპიტალში მკურნალობს.

პირველი ჯგუფი. XVI ტური

**მრეტები 1**
**იბერია 3**

მცხეთა. ცენტრალური სტადიონი. 27 ოქტომბერი

მრეტები: ჯანელიძე, ამბიძე, ქორიძე, მოსულიშვილი, ქვარცხავა, ჯულელი, იაგორაშვილი, გელაძე, ირემაშვილი, ტყავაძე, ბურდული.
იბერია: გვენცაძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი (ლაცაბიძე, 85), გ.ჩადუნელი (რობაქიძე, 60), სამხარაძე, ხარაზიშვილი, მაქაცარია, ტყემალაძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, ბაკურაძე.

0:1 ქობელაშვილი (20)
1:1 ტყავაძე (21)
1:2 მარლიშვილი (35)
1:3 მარლიშვილი (70)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

**საპოვნელა 3**
**კახეთი 0**

თერჯოლა. ცენტრალური სტადიონი. 28 ოქტომბერი

საპოვნელა: თევზაძე, ბებიაშვილი (ჯულელი, 58), გენაძე, ჭულუხაძე, ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ჩინჩალაძე (გურაბანიძე, 83).
კახეთი: გრიშიკაშვილი, დემეტრაძე, შონია, კალუჟა, ხეფაშვილი, სანადირაძე, ა. ხორხელი, ტოგონიძე, ჭაჭუა, წიქარიშვილი (კახეთმა ითამაშა 10 ფეხბურთელით)

1:0 უკლება (62)
2:0 უკლება (76)
3:0 ახვლედიანი (90)

გაფრთხილება: ა. ხორხელი
მსაჯი: ა. წერეთელი (ჭიათურა)

**მაღაროელი 0**
**დილა 0**

ჭიათურა. ცენტრალური სტადიონი. 28 ოქტომბერი

მაღაროელი: ხელაძე, იობაშვილი, ლურსმანაშვილი, რუხაძე, კიპაროიძე, სამხარაძე (ბურძენიძე, 46), ბრეგვაძე, ბუიშვილი (შეყლაშვილი, 75) კავთელაძე, ნიკლაური, მწყერაშვილი.
დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ნკრიალაშვილი, გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი, მეტრეველი, ხაჭაპურიძე, ტაბატაძე, ხორგუაშვილი (რევაზიშვილი, 85), მინდიაშვილი.
მსაჯი: ლ. მგელაძე (თბილისი)

**დინამო 5**
**მეტალურგი 3**

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 30 ოქტომბერი.

დინამო: ჩხეიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე (ტრაპაიძე, 75), ნემსაძე (შ.ხუჯაძე, 68), ყაველაშვილი, ინალიშვილი, რევიშვილი, რ. არველაძე, ქინქლაძე, ანჩაბაძე.
მეტალურგი: ქორიძე, დიმიტრიშვილი, ბურნაძე, არჩვაძე, გაბელია (თვალებეიშვილი, 75), კ. მეტრეველი, ამბიძე, გ.კილასონია, კობიაშვილი, ღუდუშაური, ალადაშვილი.

1:0 ნემსაძე (19)
2:0 ყაველაშვილი (40)
3:0 ქინქლაძე (55)
4:0 ქინქლაძე (65)
4:1 ამბიძე (65)
4:2 გ. კილასონია (75)
5:2 ყაველაშვილი (80)
5:3 ალადაშვილი (84)

მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

**იბერია 3**
**მრეტები 1**

30 ოქტომბერი. მე-5 ტურის გამოტოვებული მატჩი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 10 | 0 | 0 | 42-10 | 30 |
| იბერია | 12 | 6 | 4 | 2 | 19-11 | 22 |
| მაღაროელი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-17 | 21 |
| მარგვეთი | 11 | 5 | 3 | 3 | 24-18 | 18 |
| საპოვნელა | 12 | 5 | 2 | 5 | 19-12 | 17 |
| შევარდენი | 10 | 5 | 1 | 4 | 18-17 | 16 |
| კახეთი | 11 | 4 | 2 | 5 | 19-19 | 14 |
| დილა | 11 | 3 | 2 | 6 | 10-17 | 11 |
| ერქვანი | 9 | 2 | 4 | 3 | 13-18 | 10 |
| მრეტები | 12 | 2 | 1 | 9 | 10-34 | 7 |
| მეტალურგი | 12 | 2 | 0 | 10 | 14-36 | 6 |

დღეს ითამაშებენ: დინამო — კახეთი (VI ტური, ეროვნულ სტადიონზე 15 საათზე), დილა — მეტალურგი (XI), იბერია — მარგვეთი (XI), მრეტები — ერქვანი (XI), მაღაროელი — შევარდენი (XI)

**II ჯგუფი XII ტური 29.10.**

რკონი — ნაფარეული 1:2
თორი — შირაქი 3:0
მესხეთი — თეთრი არწივი 0:1
სიონი — ჭაბუკიანი 3:1
არმაზი — ერქვანი ზოოვეტი 1:1
არაგვი — მერანი 91 1:0
არმაზი-90 — ანცი 0:0
დურუჯი — მერანი ბაჩო 4:3
ბახტრიონი — ქართლი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანცი | 9 | 7 | 1 | 1 | 25-3 | 22 |
| თეთრი არწივი | 9 | 7 | 0 | 2 | 23-8 | 21 |
| დურუჯი | 9 | 6 | 1 | 2 | 21-10 | 19 |
| ნაფარეული | 9 | 6 | 1 | 2 | 16-9 | 19 |
| ჭაბუკიანი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-10 | 14 |
| მერანი-ბაჩო | 9 | 4 | 2 | 3 | 15-16 | 14 |
| არაგვი | 9 | 4 | 1 | 4 | 10-13 | 13 |
| სიონი | 9 | 4 | 1 | 4 | 18-12 | 13 |
| ბახტრიონი | 9 | 4 | 0 | 5 | 13-17 | 12 |
| თორი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-10 | 12 |
| მესხეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-15 | 11 |
| შირაქი | 9 | 3 | 2 | 4 | 6-17 | 11 |
| რკონი | 9 | 3 | 1 | 5 | 11-17 | 10 |
| არმაზი | 9 | 2 | 3 | 4 | 13-14 | 9 |
| არმაზი-90 | 9 | 2 | 3 | 4 | 10-11 | 9 |
| ერქვანი-ზოოვ. | 9 | 2 | 3 | 4 | 8-16 | 9 |
| ქართლი | 9 | 1 | 2 | 6 | 5-17 | 5 |
| მერანი-91 | 9 | 1 | 2 | 6 | 5-19 | 5 |

## სტატისტიკა. IX, XIV, XV, XVI ტურები

| | ალმ. | დას. | სულ | სეზონში |
|---|---|---|---|---|
| მატჩი | 15 | — | 15 | 96 |
| გოლი | 54 | — | 54 | 340 |
| საშუალო შედეგიანობა | 3,60 | — | 3,60 | 3,54 |
| მასპინძლები — სტუმრები: | | | | |
| ქულები | 29-11 | — | 29-11 | 193-76 |
| პროცენტულად | 73-27 | — | 73-27 | 72-28 |
| ბურთები | 32-22 | — | 32-22 | 222-118 |
| პროცენტულად | 59-41 | — | 59-41 | 65-35 |
| გაძევება | 0-1 | — | 0-1 | 2-7 |
| გაფრთხილება | 3-6 | — | 3-6 | 39-53 |
| პენალტი | 6-2 | — | 6-2 | 29-14 |
| გამოყენებულია | 6-2 | — | 6-2 | 26-10 |
| დიდი ანგარიში | 2 | — | 2 | 28 |
| „ჰეთ-თრიქი" | 1 | — | 1 | 7 |
| ფეხბურთელთა რაოდენობა | 143 | — | 143 | 374 |
| დებიუტანტები | 8 | — | 8 | 87 |

გამოუცხადებლობის გამო გურჯაანის „ერქვანს" წაგება ჩაეთვალა ჭიათურის „მაღაროელთან". ეს შედეგი სტატისტიკურ მონაცემებში არ აისახება ისევე როგორც 30 ოქტომბრის მატჩი „იბერია" — „მრეტები".

მე-14 ტურის მატჩში მოედნიდან გააძევეს ზესტაფონელი ლონლაძე. მეორე გაფრთხილება მიიღეს ძიძიშვილმა („საპოვნელა") და ჩუხუამ („მრეტები").
მეექვსე შეხვედრა მოიგო დიდი ანგარიშით თბილისის „დინამომ". „ჰეთ-თრიქი" შეასრულა თერჯოლელმა ჩინჩალაძემ. 2-2 გოლი ერთ მატჩში გაიტანეს შ.არველაძემ, ყაველაშვილმა, ქინქლაძემ (სამივე „დინამო"), მარლიშვილმა („იბერია"), უკლებამ („საპოვნელა").

ბომბარდირები:

| | | |
|---|---|---|
| მერაბ მეგრელაძე | „მარგვეთი" | 13 |
| კახა გოგოლაძე | „გურია" | 8 |
| შოთა არველაძე | „დინამო" | 8 |
| კარლო ჩინჩალაძე | „საპოვნელა" | 8 |
| გიორგი ქინქლაძე | „დინამო" | 8 |
| ოთარ კორღალიძე | „გურია" | 7 |
| არჩილ არველაძე | „დინამო" | 7 |
| პაატა მაჭუტაძე | „ბათუმი" | 7 |
| გივი ქობელაშვილი | „იბერია" | 7 |

წინა სტატისტიკაში ბომბარდირთა ცხრილი უზუსტოდ იყო დაბეჭდილი

მერაბ მეგრელაძემ პირველი ორი უგოლო მატჩის შემდეგ ზედიზედ 8 შეხვედრა ითამაშა შედეგიანად, რითაც გააუმჯობესა ბათუმელი მაჭუტაძის რეკორდი — ზედიზედ 7 შედეგიანი მატჩი.

რევაზ შენგელია

# უკიჭებოდ და უკბილოდ

„მეტალურგთან" მატჩი დინამოელებმა პირველად უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ტყუპების — არჩილისა და შოთას გარეშე დაიწყეს. ალბათ ამიტომ იყო, რომ დინამოელებმა კარის ჩარჩოს მიმართულებით მხოლოდ მეოცე წუთზე დაარტყეს და გოლიც გაიტანეს (ნემსაძე). ყაველაშვილი თუ არ ვცდებით პირველად ამ ორი წლის განმავლობაში წმინდა თავდამსხმელის ფუნქციებით იყო დაკავებული. მას მხარს ქინქლაძე უმაგრებდა, ამ ორს კიდევ ექვსი ნახევარმცველი. ტაიმის ბოლოს ბრწყინვალედ მოთამაშე ანჩაბაძემ ლამაზი პასით ასევე ლამაზი გოლი გაატანინა ყაველაშვილს. მანამდე კი ორჯერ მოარტყა ძელს. მეორე ტაიმში ქინქლაძემ აიწყვიტა, ციბრუტივით დატრიალდა და მესამე გოლი გაიტანა, შემდეგ მეოთხეც მიაყოლა. რუსთაველები მხოლოდ ამის მერე მოვიდნენ გონს და ამბიძემ ოცდაათი მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ერთი გოლი გაქვითა. შემდეგ გია კილასონიამ ძმის გარეშე (ვარლამს მარცხენა ფეხი დაუშავდა ვარჯიშზე წინადღით) ლამაზი დრიბლინგით მეორე გოლიც გაიტანა. წუთის შემდეგ ყაველაშვილმა ჩვეულ სტილში დაწოლილმა მეხუთე გოლი გაიტანა, მატჩის მიწურულს კი ალადაშვილმა დაამატა ჩხეიძის მიერ მოგერიებულ ბურთს და მესამედ შეარხია დინამოელთა კარის ბადე.



# ნოდარ ახალქაცი:



შესახებ ჩვენამდე ჯერ არ ჩამოუღწევია, არადა განაცხადის წარდგინების ბოლო ვადა 10 ნოემბერი იყო".

ახალქაცმა ორი ძირითადი მომენტი გამოყო — პირველი მომენტია სფფ-ს მიერ გადაწყვეტილების მიღება: ვინ უნდა უხელმძღვანელოს ორივე ახალგაზრდულ ნაკრებს. დასაძეც და კოსტავაც სერიოზულად მუშაობენ, ევროპის მწვრთნელთა სემინარებზეც იყვნენ ფინეთში, რამდენიმე ტურნირშიც მიიღეს მონაწილეობა და გამოცდილებაც შეიძინეს. ისინი სულ რამდენიმე თვეა მუშაობენ და მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ასე უცებ მწვრთნელებს არ ცვლიან. როგორი შედეგითაც არ უნდა დაბრუნდეს 18 წლამდე

ნტის ოლიმპიადის შესარჩევი თამაშების კენჭისყრაც. ოლიმპიურ ნაკრებზეც უნდა ვიფიქროთ, არც ქალთა და მინიფეხბურთის ნაკრებები უნდა დავივიწყოთ. მოკლედ, ფედერაცია ნაკრებებს დიდ ყურადღებას დაუთმობსო.

# დროა ნაკრებებს მივხედოთ!

გუშინ თერთმეტ საათზე ფეხბურთის ფედერაციაში შედგა პრესკონფერენცია ერთის მხრივ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობასა და ახალკაცს, მეორეს მხრივ კი ფედერაციის მუშაკებსა და სამი სპორტული გაზეთის „ლელოს", „ქართული ფეხბურთის" და „სარბიელის" ჟურნალისტებს შორის. პრესკონფერენციის მთავარი თემა იყო ახალგაზრდული ნაკრების (16 წლამდე) წარუმატებელი გამოსვლა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სლოვენიაში. ამის შესახებ მოკლე ანგარიშებით წარსდგნენ: ნაკრების მთავარი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე, მწვრთნელი ნოდარ ხიზანიშვილი, ექიმი ზაზა მექვაბიშვილი, მასაჟისტები ანზორ გაბიტაშვილი. ტურნირის შედეგები შეაჯამა სფფ-ს პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა. მან მოკლედ მიმოიხილა სლოვენიაში ჩატარებული ტურნირის შედეგები და აღნიშნა, რომ არბიტრებმა მიკერძოებულად იმსაჯეს საქართველოს ნაკრები კი ტურნირის ორგანიზატორებმა დისკრიმინაციულ პირობებში ჩააყენეს, „ჩვენ ხუთი დღით ადრე ჩავედით, რათა ჩვენს ბიჭებს ეს რამდენიმე დღე ნორმალურ პირობებში ევარჯიშათ და ძალები მოეკრიბათ. თამაშის წინა დღეს რომ ჩავსულიიყავით, ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდა. ამ დამარცხებიდან სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ და შემდგომ სწორი სტრატეგიული გეგმა შევიმუშაოთ. მომავალ წელს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებები კიდევ მიიღებენ მსგავს ტურნირებში მონაწილეობას. უეფა-ს ფაქსს მიწვევის

ნაკრები ისრაელიდან, კოსტავა დარჩება მის სათავეში. ასევე იქნება გაიოზ დარსაძეც.

მეორე მომენტია არაერთსულოვნება სფფ-ს წევრებს შორის ყველა ნაკრების შეფასებისას. სფფ ვერავის აუკრძალავს თავისი აზრის გამოთქმას, მაგრამ უკეთესი იქნება თუ ყველა ღონისძიება საქმის სასიკეთოდ იქნება მიმართული.

შემდეგ ახალკაცმა ვრცლად ილაპარაკა ყველა ნაკრების მომავალ გეგმებზე. ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, ეროვნული ნაკრები დადგა: „1994 წლის 22 იანვარს მანჩესტერში ჩატარდება ევრო-94-ის კენჭისყრა, სავარაუდოდ მასში ევროპის 47 ქვეყნის ნაკრები გუნდები მიიღებენ მონაწილეობას, მათ შორის საქართველოს ნაკრებიც. სულ 13 საგზური გათამაშდება, შესარჩევი თამაშიდან თავისუფალი მხოლოდ ინგლისის ნაკრები იქნება, როგორც მასპინძელი. საქართველოს ნაკრები მინიმუმ 10 ოფიციალურ მატჩის ითამაშებს. ამისათვის დღესვე უნდა დაიწყოს მზადება. მომავალი წლის 6-13 თებერვალს მალტაში ოთხთა ტურნირი გაიმართება, მასში მიწვეულია საქართველოს ნაკრებიც. მის გარდა იასპარეზებენ მალტის, ტუნისისა და სლოვენიის ეროვნული ნაკრებები. გარდა ამისა შესარჩევი თამაშების დაწყებამდე, ჩვენი ნაკრები 7-8 მატჩს ჩაატარებს. ასევე იქნებიან 16 და 18 წლამდე ნაკრებებიც. ფედერაცია ამ ნაკრებებს არაფერს მოაკლებს, რადგან ეროვნული ნაკრები ქვეყნის ფეხბურთის სარკე. კარსაა მომდგარი ატლა-

სფფ-ს მიერ პრესკონფერენციის [illegible] წყობა რა თქმა უნდა მისასალმებელია, ოღონდ ასეთი პრესკონფერენციები ფედერაციამ უფრო ხშირად რომ მოაწყოს სხვა პრობლემებზეც, გაცილებით აჯობებდა. არც ის იქნებოდა ურიგო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა და სპეციალისტთა უფრო ფართო სპექტრი რომ ვიხილოთ.

მამუკა კვარაცხელია

# მასწავლებელს იხსენებენ

გუშინ სფფ-ს შენობიდან ასიოდე მეტრის დაშორებით ფედერაციაში პრესკონფერენციის დაწყების პარალელურად „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლაში დაიწყო 1983-84 წლებში დაბადებულ ბავშვთა ტურნირი, რომელიც ომარ უშვერიძის სახელს ატარებს. ტურნირში რვა გუნდი მონაწილეობს: „დინამო-1", „დინამო-2", „შევარდენი 1", „შევარდენი 2", ვაკე 91", „ავაზა", „მზიური" (ყველა თბილისის გუნდე ბი) და გორის „ორბი". პატარები ერთ წრედ ითამაშებენ ორ ქვეჯგუფში, შემდეგ ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში შეხვდება ერთმანეთს, გამარჯვებულნი კი 7 ნოემბერს ომარ უშვერიძის სახელობის თასის ფინალში იასპარეზებენ. სკოლის დირექტორმა ოთარ გეგეჭკორმა და მასწავლებელმა გელა გომელაურმა უამრავი ლამაზი პრიზი დაამზადებინეს პატარებისთვის.



# სერგო აპრესიანი

ქართული ფეხბურთის დიდი ამაგდარი სერგო აპრესიანი ცხოვრებიდანაც ისევე უჩუმრად წავიდა, როგორაც საყვარელ [illegible]
ბი არიან გელა კეტაშვილი, დავით ყი[illegible]ლაშვილი, აკაკი დევაძე, გოჩა გუჯაბიძე, გოჩა ტყებუჩავა, ჯუბა ჩუხუა და მრავალი სხვა.

თამაში თბილისის „დინამოში" დაიწყო, შემდეგ მოსკოვის „სპარტაკში", ბათუმის „დინამოში", თბილისის „ლოკომოტივში", 20 წლის წინ კი ბავშვთა ფეხბურთში მოვიდა და აკი აღზარდა კიდეც პირველი და ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი. წელს 1985 წლიანებს ავარჯიშებდა, მათ დაფრთიანებას ცდილობდა, მაგრამ...

სერგო აპრესიანი უკანასკნელ გზაზე თავისმა აღზრდილებმა გააცილეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შევარდენი 1906: 87 წლის შემდეგ

**სამ წელიწადში „შევარდენი 1906" ოთხმოცდაათ წლიან იუბილეს გადაიხდის. მანამდე კი გუნდის ხელმძღვანელებს ისეთი გუნდის დაყენება უნდათ, ღირსეულად რომ შეეპაექრება „დინამო"-ს. კაცმა არ იცის, რას მოგვიტანს უახლოესი სამი წელიწადი, მაგრამ ჩემი აზრით სამი ადამიანი სამი წლის შემდეგ „შევარდენის" სამი ვეშაპის ფუნქციებს შესრულებს: ზურა ქიტიაშვილი, მურთაზ ხურცილავა და მამუკა ჯიქია — პრეზიდენტი, მწვრთნელი და ფეხბურთელი...**

## ზურაბ ქიტიაშვილი: მთავარი ლამაზი თამაშია!

ზურაბ ქიტიაშვილი 34 წლის ახალგაზრდა, ცოლშვილიანი კაცია. მეოთხე წელია სათავეში უდგას „შევარდენს" და დღეს, კაცს რომ ოჯახის შენახვა უჭირს, ამხელა გუნდს ბვად თუ კარგად ინახავს.

**— ბატონო ზურაბ, ამ რბილად რომ ვთქვათ, კატასტროფული ინფლაციის პირობებში, როგორ ინახავთ გუნდს?**

— „შევარდენი 1906"-ს „დინამოს" მსგავსად მეპატრონეები ჰყავს. მათ შორის ვარ მეც. სპონსორობას ფირმა „იბერი" გვიწევს. სამწუხაროდ საავიაციო ქარხანა ვერ ნახულობს სახსრებს კლუბის შესანახად, ამიტომ მე და ჩემს მეგობრებს გვიწევს გვარიანი სამუშაოს გაწევა კლუბის შესანარჩუნებლად.

**— არავის შემოუთავაზებია სპონსორობა?**

— შემოგვთავაზა „ბანი და კომპანიამ"



ზურაბ ქიტიაშვილი

(რაზეც მათი დიდი მადლობელი ვარ), მაგრამ სახელზე ვერ შევთანხმდით: ჩვენი გადაწყვეტილება ურყევია: „შევარდენი 1906" უძველესი კლუბია საქართველოში და მას „შევარდენი 1906" უნდა ერქვას.

**— დღეს გუნდში სამი ფეხბურთელი თამაშობს „ოდიშიდან", მათ გადასვლასთან დაკავშირებით პატარა მითქმა-მოთქმა ატყდა.**

— ჩვენ ყველაფერი სფფ-ს შესაბამისი დებულების თანახმად შევასრულეთ, 18 მილიონიც გადავუხადეთ „ოდიშს" თავის დროზე, გარდა ამისა, სათამაშო ფორმა უნდა მივცეთ. როცა სიტუაცია დაწყნარდება, ჩვენი ხელით ჩავუტანთ ზუგდიდელებს ახალთახალ ფორმას.

**— თავად თუ მიიღეთ კომპენსაცია ყიზილაშვილისა და სხვა ფეხბურთელების სხვა გუნდებში გადასვლასთან დაკავშირებით?**

— რაც შეეხება ყიზილაშვილს, კვიპროსელები ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას დაგვპირდნენ, რის გარანტადაც პირადად სფფ პრეზიდენტი დადგა. მტერი უნდა იყოს დღეს კაცი, ფეხბურთელს საზღვარგარეთ წასვლა აუკრძალო.

**— გუნდი თერჯოლაში ვერ ჩავიდა 15 ოქტომბერს კალენდარულ მატჩზე—**

— წიფის გვირაბთან ავტობუსი გაგვიფუჭდა, არცერთმა გამვლელმა მანქანამ ყურადღება არ მოგვაქცია, ვერც მურთაზ ხურცილავას ავტორიტეტმა გვიშველა. მოკლედ ვეღარ ჩავედით თერჯოლაში. ჩვენ დაუყოვნებლივ გავაფორმეთ შესაბამისი ოქმი და მატჩიც გადათამაშდება, მაგრამ ჩვენმა თერჯოლელმა მეგობრებმა ერთი ამბავი ატეხეს, სამი ქულა გვინდაო. მე მათ მინდა მივმართო: რად გვინდა ქულები, უფეხბურთოდ? ისინი ხომ არ ჩამოდიან, მე მაქვს ამხელა გზა გასავლელი, ნუთუ ქულებია ყველაფერი?

**— ახალგაზრდა მოთამაშეთა აყვანა ძალიან კარგია, მაგრამ იქნებ უკეთესი იყოს კლუბთან არსებული სკოლის შექმნა და იქ ნორმალური მუშაობის შემდეგ ადგილობრივი კადრებით გუნდის დაკომპლექტება?**

— „შევარდენს" აქვს სკოლა, სადაც 200-მდე ბავშვი ვარჯიშობს. ჩვენ ვფიქრობთ მის ჩვენ ბალანსზე გადმოყვანას და 40-50 პერსპექტიული ბავშვის არჩევას, რომელთანაც სწორი მუშაობის შემდეგ კლუბს საკუთარი კადრები ეყოლება.

**— შარშან ერევნის „არარატი" ჩამოიყვანეთ, მანამდე ბრიტანულ „გლოსტერ სიტის" ეთამაშეთ, ამით ამოიწურება თქვენი კონტაქტები თუ სხვა კლუბებთანაც გაქვთ?**

— კონტაქტები რუსეთის ბევრ გუნდთან გვაქვს, თურქეთის „სამსუნსპორთან", გერმანიის „ფორტუნასთან", პოლონეთის „ლეგიასთან". მაგრამ ვინ გინდა ჩამოიყვანო ამ ომში?

**— შარშან მეორე ადგილზე გახვედით, წელსაც იგივე მიზანს ისახავთ?**

— მარტო წელს კი არა, ჩვენი მიზანია მეორე გუნდი ვიყოთ. „დინამო" კარგა ხანს იქნება პირველი, ჩვენ გვინდა ღირსეული მეტოქენი ვიყოთ მათი. იმედია დაგვრთავს უეფა ევროტურნირებზე სამი გუნდის ყოლის ნებას და ჩვენი მიზანიც ეს არის.

**— ასე რომ ფიქრობთ, გეტყობათ გამოუსწორებელი ოპტიმისტი ბრძანდებით...**

— რა თქმა უნდა. მორჩება ეს ომი, ქართველები კუჭის პრობლემებსაც მოვაგვარებთ და ხომ დადგება დრო, როცა სანახაობაც მოგვინდება? ფეხბურთი კი პირველია ამისთვის. ხომ მოაწრიალა თბილისის „დინამომ" 18 აგვისტოს ხალხი სტადიონისკენ. მანამდე კი ჩვენს საქმეს გავაკეთებთ. ეს ოცდახუთი კაცი ფეხბურთით რომ იქნება დაკავებული და ნარკომანი და ყაჩაღი არ გამოვა, ესეც დიდი საქმეა ჩემი აზრით. სანამ მე კლუბის სათავეში ვიქნები, „შევარდენის" მიზანი მარტო ქულები კი არა, სანახაობრივი მხარე იქნება!

## მურთაზ ხურცილავა: უნიჭო ფეხბურთს ვერ ითამაშებს

ჩემთვის ფეხბურთის ერთ-ერთი დიდი ავტორიტეტი, ორმოცდახუთი წლის გულშემატკივრობის სტაჟის მქონე მამაჩემი, როდესაც სიტყვას ყველა დროის საუკეთესო ქართველ ფეხბურთელზე ჩამოვარდება ხოლმე, მუდამ მურთაზ ხურცილავას ასახელებს. სამწუხაროდ არ მაქვს მამაჩემის კომპეტენტურობის შემოწმების საშუალება, რადგან როდესაც ხურცილავა მსოფლიოს სტადიონებს აჯანჯარებდა, თქვენი მონა-მორჩილი მხოლოდ მაშინ მოევლინა ქვეყანას. ისე მურთაზ ხურცილავა მეც ხშირად მინახავს მინდორზე და ახლაც ვხედავ. თუ ვინმეს მსგავსი სურვილი დაებადა, შეუძლია შაბათ-კვირას დილას მუშტაიდის ბაღის გვერდით მდებარე მოედანზე მოვიდეს და თავისი თვალით ნახოს ნამდვილი ხურცილავა, ჩივაძე, შენგელია, კოსტავა, სულაქველიძე და ძმანი მათნი. შესუქებული, ღიპიანი ლეგენდები ისეთი თავგამოდებით ცდილობენ ერთმანეთს ოსტატობა დაუმტკიცონ, რომ ხშირად აყალმაყალიც კი ტყდება ხოლმე.

**— ბატონო მურთაზ, „შევარდენზე" საუბარი იმ დროიდან დავიწყოთ, როდესაც თქვენ მას სათავეში ჩაუდექით.**

— შარშანდელი გუნდი ფაქტიურად ათ დღეში შეიქმნა. ჩვენ თავიდანვე უეფა-ს თასის საგზურის მოპოვება დავისახეთ და მივაღწიეთ კიდეც მიზანს, სამწუხაროდ არ დაუფასდათ ბიჭებს. არავის უცდია არც ჩვენზე და არც „ბათუმზე" თავი შეეწუხებინა, თითქოს ჩვენ ვერ შევქმნიდით ყველა პირობას მატჩის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად. პრესამაც რატომღაც ზურგი შეგვაქცია. უეფა-ს თასზე ვერგასვლას გუნდის დაშლა მოჰყვა — 9 ფეხბურთელი წავიდა გუნდიდან, მე მათი დიდი მადლობელი ვარ — ერთ სეზონში დიდი საქმე გააკეთეს, ალალად, თავისი შრომითა და ოფლით.

**— ცხრა კაცის შეცვლა არაა იოლი...**

— წელსაც უცებ გავაკეთეთ გუნდი. იგი არ თქმა უნდა, ისეთი ძლიერი ფეხბურთელებით ვერაა დაკომპლექტებული, როგორც შარშან, მაგრამ დღეს თუ არა ხვალ, ეს ბიჭები მოუმატებენ. მე მეტს ველი მათგან. თუმცა ახლა ძნელია ფეხბურთელებს თავგანწირვა მოსთხოვო, როცა არც საჭმელი, არც სხვა პირობები და არც საფეხბურთო განწყობაა. ყველაფერი ინერციით მიდის...

**— გუნდი შარშანდელთან შედარებით კიდევ უფრო გაახალგაზრდავდა...**

— ჩვენ გუნდში ყველა ფეხბურთელი თავისი სურვილით მოვიდა, ზოგიერთი მათგანი ცოტა რთული ფსიქოლოგიის კაცია, მაგრამ იმედი მაქვს თვითონვე შეიგნებენ ამას და მაშინ კიდევ უფრო გაიხსნებიან და გაცილებით ძლიერად ითამაშებენ. აქ ალბათ ჩემი დანაშაულიც არის, მაგრამ არა უშავს, ყველაფერი წინაა, ვიმეორებ, გუნდი კიდევ უფრო მოუმატებს.

**— „მარგვეთთან" ფაქტიურად მოგებული თამაში დათმეთ...**

— მეთერთმეტე წუთზე უკვე ორით ნოლი იყო, იოლად წაგვივიდა თავიდან თამაში, კიდევ მრავალი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და აკი დავისაჯეთ კიდეც.

**— შარშანდელი თქვენი სკანდალური ინტერვიუ „ივექსში" ყველას ახსოვს, დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. წელს მსაჯთა ასოციაცია ჩამოყალიბდა, მსაჯობაში თუ შეიცვალა რამე სასიკეთოდ თქვენი აზრით?**

— ასოციაციის პრეზიდენტს ავთო კოკაიას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არ შემიძლია რომ არ ვთქვა: რაც წელს ხდება, საერთოდ არ ყოფილა ჩვენს ფეხბურთში. რაიონებში ფაქტიურად უკვე მასპინძელი გუნდის მოთამაშეები მსაჯობენ, რასაც ეტყვიან მსაჯებს, ისინიც იმას აკეთებენ. ერთ-ერთ ქალაქში ორი მსაჯი არ ჩამოვიდა და... ტაქსის მძღოლმა იმსაჯა. ხანდახან ჩვენი მსაჯების „მსაჯობით" აღშფოთებული ვდგები თამაშის დამთავრებამდე და გავრბივარ, გუნდის ხელმძღვანელებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ ჩემს დასაბრუნებლად. სირცხვილია ასე მსაჯობა, საერთოდ წასვლა მინდა ფეხბურთიდან, როცა ასეთ წამებას და საზიზღრობას ვუყურებ. მე მესმის, რომ მსაჯებს აშინებენ, ემუქრებიან, ისინი დაუცველნი არიან, მაგრამ განა ეს მათ ამართლებთ? თუ გეშინია, მაშინ საერთოდ ნუ მოჰკიდებ სასტვენს ხელს. ან კიდევ მატჩის შემდეგ რომ ჩამოხვალ ფედერაციაში, სიმართლე მაინც სთქვი. არც სიმართლეს ამბობენ... ასე დაიღუპება ქართული ფეხბურთი, ეს თავის მოტყუებაა. მე გული რომ არ მტკიოდეს ქართულ ფეხბურთზე, გავჩუმდებოდი, მაგრამ განა შეიძლება ამ სისაძაგლეზე თვალების დახუჭვა?

**— ნუთუ საქართველოში წესიერი მსაჯი არ არსებობს?**

— როგორ არ არსებობენ? თემურ მაჭარაძეს თასზე 0:4-ზე წაგებული მატჩის შემდეგ მივედი და მადლობა მოვუხადე. მე ვიცი, რომ სადაც არ უნდა მიმსაჯოს, ეს კაცი არ გამწირავს. ასევეა სერგო კვარაცხელია და მალხაზ კობიაშვილი. კვარაცხელიამ ამ ნამდვილი გმირობა ჩაიდინა ზესტაფონში. იცოდა რა მოჰყვებოდა თასის ნახევარფინალში იმ პენალტის დადებას მასპინძელთა კარში, მაგრამ მაინც დადო. იმიტომ რომ კაცია! მსაჯობის მხრივ თბილისი ყველაზე უსაფრთხო ქალაქია და დედაქალაქის გუნდები ამ მხრივ „იჩაგრებიან", რადგან იციან, თბილისში არაფერი მოხდება. რაიონში ჩახვალ და არავის არ უნდა რომ იქაც ისევე სუფთად იმსაჯოს მსაჯმა, როგორც თბილისში, მარტო ქულა ხომ არ არის ფე-



მურთაზ ხურცილავა

ხბურთი, რათ გინდა ის ქულა, თუ ფეხბურთელმა ხეირიანად დარტყმა არ იცის?

**— თქვენგან სულ კრიტიკა ისმის, ნუთუ კარგი არაფერია ჩვენს ფეხბურთში?**

— მე კარგს ვერფერს ვხედავ. ჩვენი თვითმიზანი მარტო ჩემპიონატის ჩატარება კი არ უნდა იყოს. მე ვერ ავიტან ასეთ ქართულ ფეხბურთს. ყველამ უნდა მიხედოს ქართულ ფეხბურთს, ტყუილად ხომ არ ვკლავთ ამ ბიჭებს?

**— თქვენი გუნდის რამდენიმე წევრი ზუგდიდიდან არის, მათთვის ალბათ ძნელია ახლა ფეხბურთზე ფიქრი...**

— ბიჭები ყველაფერს ძალიან განიცდიან. მთელ გუნდს უნდოდა აფხაზეთში საომრად წასვლა და ძლივს დავიყოლიეთ რომ დარჩენილიყვნენ. არ აქვთ ბიჭებს საფეხბურთო განწყობა და რა უნდა ქნა?

**— როდესაც ფიფა-ში მიგვიღეს, თქვენ ძალზე ბედნიერი იყავით და მითხარით, რომ ეშველა ქართულ ფეხბურთსო!**

— მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც თავის წვლილი შეიტანა იმაში, რომ 18 აგვისტოს სამოცი ათასი გალიმებული, სიხარულისაგან აცრემლებული სახე მანახა. ის ხაათნახევარი უბედნიერესი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში, ისევ გაივსო სტადიონები, ისევ ჩამოეკიდა ტროლეიბუსებს ხალხი, ისევ ითამაშეს ქართველმა ბიჭებმა „დინამოს" სტადიონზე დიდი ფეხბურთი. ყველას უკლებლივ დიდი მადლობა უნდა მოვუხადო.

**— ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ეროვნულ სტადიონზე ხშირად განმარტოებით, მეორე იარუსიდან უცქერით ხოლმე.**

— მე ამ დროს მხოლოდ ფიზიკურად ვარ სტადიონზე, ჩემი ფიქრები სამი ათეულით წინ გადაინაცვლებს ხოლმე. მე ამ დროს თვალნათლივ ვხედავ მიშას ფანტებს, შოთას გასვლებს, ჟორას ტექნიკის დემონსტრირებას, სერგოს ნახტომებს. მეც მათ გვერდით ვარ და ჩემებურად ვიბრძვი მინდორზე. ვერთობი ამ ფიქრებში და ბედნიერი ვარ. ისევ იმ 40 ათასიან კოპწია „დინამოს" სტადიონზე მგონია თავი... როცა გამოვერკვევი, აღარ მინდა მატჩის ყურება და სახლში მოდივარ, ხანდახან ანგარიშიც კი არ ვიცი...

**— შაბათ-კვირას ხომ იკლავთ ჟინს მუშტაიდში?**

— იცით როგორ ველოდები შაბათ-კვირას, წუთებს ვითვლი და განა მარტო მე? ასეა ბორია სიჭინავა, რამაზ ურუშაძე, საშა ჩივაძე, თამაზ კოსტავა, რამაზ შენგელია და სხვებიც. ის ორიოდე საათი ჩვენ ახალგაზრდობაში გვაბრუნებს და უბედნიერესი ხალხი ვართ. ჯანი აღარ მოგვდევს, თორემ ტექნიკა და ჭკუა ყველას შენარჩუნებული გვაქვს. ისევ მაგრები ვართ ბებრები!

**— ის ურჩევნია მამულსაო უთქვამთ, თქვენს გოგაზე რას იტყვით?**

— გოგა უდავოდ ნიჭიერია. მაგრამ მთავარი აკლია — ფანტასტიკურად არ არის შეყვარებული ფეხბურთზე, ადრე იყო, ახლა არა. ტრავმებმაც ძალიან გაწვალა, შეიძლება სულაც შეეშვას ფეხბურთს. ეს სადღაც ჩემი ბრალიცაა, არ შეიძლება მამაშვილი ერთ გუნდში, თუმცა ყველამ იცის, მას ყველაზე მეტად ვთხოვ ვარჯიშზეც და თამაშზეც. საერთოდ, თუ ნიჭიერი ფეხბურთელი იკარგება, ეს იმის ბრალია, რომ მას ღმერთმა ყველაზე მთავარი — ფეხბურთისადმი ფანტასტიკური სიყვარული არ დაანათლა თან. ისე კი უნიჭო კაცი ფეხბურთს ვერ ითამაშებს, ფეხბურთი ყველაზე ძნელი თამაშია, ამიტომ დიდი ფეხბურთის სათამაშოდ დიდი ნიჭია საჭირო.

**— ზემოთ დღევანდელი „დინამო" ახსენეთ. ბევრი თვლის, რომ დღეს გუნდში უნიჭიერესი თაობა მოვიდა. შეგიძლიათ თქვენს თაობას შეადაროთ?**

— ძალზე ნიჭიერი ბიჭები არიან. ჩვენ ალბათ იმით ვჯობდით, რომ ფანატიკურად გვიყვარდა ფეხბურთი. იცით ჩემთვის მარტო სახელი — „დინამო" რას ნიშნავს? ცუდად ვხდები ამ სახელის გაგონებაზე. ცრემლები მადგება, როცა ცარიელ ტრიბუნებს ვუყურებ. სიტყვამ მოიტანა და კიდევ ერთხელ მინდა დღევანდელ დინამოელებს დიდი მადლობა გადავუხადო 18 აგვისტოს მატჩისთვის. გულისფანცქალით ველოდებოდი მეორე ასეთ დღეს. ისე ძალიან განვიცადე ჩვენი გამოთიშვა, კარგა ხანს ყველაფრის ხალისი დავკარგე...

**— თქვენს დროს კარგი ცხოვრება იყო, ხან სად გააფორმებდნენ ფეხბურთელს და ხან სად, დღეს კი დრონი იცვალნენ...**

— მართალი ბრძანდებით, დღეს თუ ფინანსურად ძლიერი ხალხი არ ამოუდგა ფეხბურთს მხარში, რაც გვაქვს იმასაც დავკარგავთ და წინსვლაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ხშირად გაისმის საყვედურები ბადრი ნინუას მისამართით. ამ კაცს საყვედური კი არა დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ, მოვუფეროთ, მოვიზიდოთ ასეთი ხალხი. იგივე ის ბიჭები, ვინც „დინამოს" გაჭირვების ჟამს მხარში ამოუდგა და ფეხზე წამოაყენა, გააძლიერა გუნდი. იგივე ჩვენი გუნდის, „შევარდენის" სპონსორები. ის ხალხი, ვინც საქართველოს ნაკრებს კვიპროსის ტურნე გაუკეთა. ასეთ ხალხს სანთლით უნდა ვეძებდეთ, ისინი ხომ თვითონ იკლებენ და ქართულ ფეხბურთს აზმარენ უზარმაზარ თანხებს.

**— ისევ საყვედურები და საყვედურები...**

— მე კარგი რომ არ მინდოდეს ქართული ფეხბურთისთვის, საერთოდ გავჩუმდებოდი. საყვედურებს კი იმიტომ გამოვთქვამ, რომ იქნებ ბოლოსდაბოლოს ვილაცა მიხვდეს, ვილაცა ამოძრავდეს, მშურს საზღვრგარეთის. მე ვიცი რას ნიშნავს გაჭედილი ტრიბუნების წინ თამაში. ასე მინდა საქართველოშიც იყოს, მაგრამ იმ გზით, ჩვენ რომ ახლა მივდივართ, დავღუპავთ ქართულ ფეხბურთს. ჯერ არ ვამბობ ყველაფერს, მაგრამ თუ ისევ ასე გაგრძელდა, გამოვალ სახლხოდ და ყველაფერს ვეტყვი ქართველ გულშემატკივარს...

...ბატონ მურთაზთან გვიანობამდე ვისაუბრე. ვატყობდი, რომ ლაპარაკის სალერღელი ავუშალე, იგი იგონებდა სსრკ ნაკრებში ნათამაშებ მატჩებს, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატს, თანაგუნდელებს, ცხონებულ მიშა მესხს და ფიქრებით მეც „დინამოს" სტადიონზე ვიყავი, ოღონდ ჩემს სათაყვანებელ სამოცდაათიან წლებში და ჩემს სათაყვანებელ იმდროინდელ „დინამოსთან". მეც ვიხსენებდი 18 აგვისტოს და უზომოდ მშურდა მამაჩემის, რომელსაც „დინამო" ლურჯ მაისურში გამოწკეპილი, მუდამ საბრძოლველად შემართული მურთაზ ხურცილავა მინდორზე უნახავს...

## მამუკა ჯიქია: ალბათ დაეწყობა ქვეყანა...

მამუკა ჯიქია „შევარდენის" ზუგდიდური ტრიუმვირატის წევრია. თექვსმეტი წლისას მურთაზ ხურცილავამ თბილისში შესთავაზა ჩამოსვლა და ახალგაზრდა ფე-



მამუკა ჯიქია

ხბურთელმა „შევარდენის" მაისური ჩაიცვა. ჯერჯერობით მამუკა ვერ ერევა გუნდის ლიდერის ტვირთს, მაგრამ ახალგაზრდულ ნაკრებში იგი უკვე ასრულებს დირიჟორის როლს. ალბათ მალე დადგება დრო, ჯიქია მომაგრდება, ფრთებს გაშლის და შევარდენებს პირველი წარუძღვება მეტოქის კარის დასალაშქრად.

**— მამუკა, შენს მშობლიურ ქალაქში ტანკები დახრიგინობენ, შენ როგორც იქაური კაცი, რას იტყვი, გვეშველება რამე?**

— ალბათ მალე დაწყნარდება ყველაფერი, სიკეთე გაიმარჯვებს და ბოროტება დამარცხდება, ისევ სიმშვიდე და სიყვარული დაისადგურებს ზუგდიდში და მთელს საქართველოში. მთელი ნათესავები იქა მყავს და საკუთარივით განვიცდით იქაურ მძიმე სიტუაციას.

**— ზუგდიდში დღეს ბავშვთა ყველაზე ცნობილი მწვრთნელი გიორგი კალანდიაა, შენც მასთან დაიწყე თამაში?**

— 1982 წელს დავიწყე ბატონ გიორგისთან ფეხბურთის შესწავლა, მეთერთმეტე კლასში ვიყავი, როდესაც ოთარ გაბელიამ „ოდიშში" ჩამრიცხა. მეორე წელია რაც მურთაზ ხურცილავამ „შევარდენში" მიმიწვია და მას შემდეგ „გავთბილისელდი".

**— მუდამ შუახაზში თამაშობდი?**

— თავიდან თავდასხმაში, შემდეგ ბატონმა მურთაზმა შეამჩნია ჩემში თამაშის ორგანიზატორის თვისებები და ნახევარდაცვაში დამწია.

**— ორიოდ კვირაში ისრაელს მიემგზავრები, რა განწყობაა გუნდში?**

— გვარამაძის, დიდავას, ხუჯაძის, იაგორაშვილისა და ჯანაშიას დიდი იმედი მაქვს. ჩვენი მწვრთნელები თამაზ კოსტავა და თენგიზ კაცია არაფერს იშურებენ იმისათვის, რომ ყველა პირობა შეგვიქმნან...

**— დღეს საქართველოში რა პირობები გვექნება, არ უნდა ბევრი ახსნა-განმარტება. და მაინც, შენი აზრით, რითი გვჯობიან შენი უცხოელი თანატოლები. იმას გარდა, რომ კარაჟი და ხიზილალა აქვთ?**

— ყველგან ბურთისთვის ბრძოლაა, მინდვრის ყველა მონაკვეთზე. 3-4 კაცი მუდამ ფეხზე გაზის. ესპანეთში იქაურ თანატოლებს რომ შევხვდით, ნათლად დავინახეთ, პროფესიონალური დამოკიდებულების მხრივ რა შორს ვართ მათგან.

**— საქართველოში ბიჭი კარისკენ ბურთს დაარტყამს თუ არა, მაშინვე „ფირმაში" წასვლაზე ფიქრობს. ალალად მითხარი, შენც ხომ იგივე აზრები გაწუხებს?**

— რა თქმა უნდა, მითუმეტეს, როცა ვნახე რა პირობები აქვთ იქაურებს ფეხბურთის სათამაშოდ. მთელი ცხოვრება არა, მაგრამ 5-6 წელი მინდა საზღვარგარეთ გავატარო და იქაურ კლუბში ვითამაშო...

**— მერე თბილისს დაუბრუნდები თუ ზუგდიდს?**

— თბილისს, ძალიან მივეჩვიე და უკვე ბევრი მეგობრებიც შევიძინე.

მამუკა კვარაცხელია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებს, სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ ბოლო დროს ვეღარ ვაშუქებთ ისე ოპერატიულად, როგორც ადრე. თუმცა გარწმუნებთ, რომ შეძლებისდაგვარად აღვადგენთ ყველა იმ ტურის შედეგებს, რომლებიც არ გამოქვეყნებულა. ამჯერად იტალიის, გერმანიისა და ესპანეთის წინა ტურების და გასულ უქმეებზე ჩატარებული მატჩების შედეგებს გთავაზობთ. მასალის მომზადებაში დაგვეხმარა შალვა მჭედლიშვილი.

## ესპანეთი

VII ტური. 17 ოქტომბერი. ლოგრონიესი — ვალენსია 0:0, რაიო ვალეკანო — სელტა 1:1, ლერიდა — სპორტინგი 1:1, ტენერიფე — რეალი 0:0, სანტანდერი — სევილია 1:0, ატლეტიკო — რეალ სოსიედადი 1:2, ოვიედო — ალბასეტე 1:1, ლა კორუნია — ბარსელონა 1:0, ვალიადოლიდი — სარაგოსა 0:0, ატლეტიკი — ოსასუნა 1:2.

VIII ტური. 23-24 ოქტომბერი. ვალენსია — ატლეტიკი 1:0, სელტა — ლოგრონიესი 2:0, სპორტინგი — რაიო ვალეკანო 2:0, რეალი — ლერიდა 5:0, სევილია — ტენერიფე 4:0, რეალ სოსიედადი — სანტანდერი 2:0, ალბასეტე — ატლეტიკო 2:2, ბარსელონა — ოვიედო 1:0, სარაგოსა — ლა კორუნია 0:1, ოსასუნა — ვალიადოლიდი 2:0.

IX ტური. 30-31 ოქტომბერი. ვალენსია — სელტა 3:0, ლოგრონიესი — სპორტინგი 1:2, რაიო ვალეკანო — რეალი 0:2, ლერიდა — სევილია 0:3, ტენერიფე — რეალ სოსიედადი 2:1, სანტანდერი — ალბასეტე 1:1, ატლეტიკო — ბარსელონა 4:3, ოვიედო — სარაგოსა 2:1, ლა კორუნია — ოსასუნა 3:1, ატლეტიკი — ვალიადოლიდი 3:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია (4) | 9 | 6 | 2 | 1 | 17-8 | 14 |
| სევილია (7) | 9 | 5 | 3 | 1 | 16-6 | 13 |
| ლა კორუნია (3) | 9 | 5 | 3 | 1 | 11-2 | 13 |
| ბარსელონა (1) | 9 | 5 | 2 | 2 | 17-8 | 12 |
| სოსიედადი (12) | 9 | 5 | 2 | 2 | 13-10 | 12 |
| ატლეტიკი (8) | 9 | 5 | 1 | 3 | 16-11 | 11 |
| რეალი (2) | 9 | 4 | 2 | 3 | 14-10 | 10 |
| ატლეტიკო (6) | 9 | 3 | 4 | 2 | 15-14 | 10 |
| სანტანდერი (დ) | 9 | 4 | 2 | 3 | 7-6 | 10 |
| სპორტინგი (13) | 9 | 4 | 2 | 3 | 9-9 | 10 |
| ტენერიფე (5) | 9 | 4 | 2 | 3 | 12-13 | 10 |
| სელტა (11) | 9 | 2 | 5 | 2 | 7-8 | 9 |
| ალბასეტე (17) | 9 | 1 | 6 | 2 | 8-11 | 8 |
| რაიო ვალ. (14) | 9 | 3 | 1 | 5 | 11-15 | 7 |
| ოვიედო (16) | 9 | 2 | 3 | 4 | 7-12 | 7 |
| ლოგრონ. (15) | 9 | 3 | 0 | 6 | 10-14 | 6 |
| ვალიადოლ. (დ) | 9 | 2 | 2 | 5 | 6-13 | 6 |
| სარაგოსა (9) | 9 | 1 | 3 | 5 | 9-15 | 5 |
| ოსასუნა (10) | 9 | 2 | 1 | 6 | 11-18 | 5 |
| ლერიდა (დ) | 9 | 0 | 2 | 7 | 4-17 | 2 |

## გერმანია

II ტურის გამოტოვებული მატჩი: შტუტგარტი — ლაიპციგი 0:0. IX ტურის გამოტოვებული მატჩი: მიონხენგლადბახი — შტუტგარტი 0:2.

XI ტური. 8-9 ოქტომბერი. ვერდერი — დორტმუნდი 4:0, კარლსრუე — ლევერკუზენი 2:0, ნიურნბერგი — დინამო 3:0, ჰამბურგი — ვატენშაიდი 2:1, კიოლნი — ბაიერნი 0:4, მიონხენგლადბახი — დუისბურგი 4:1, კაიზერსლაუტერნი — შტუტგარტი 5:0, შალკე — ფრაიბურგი 1:3, აინტრახტი — ლაიპციგი 2:1.

XII ტური 15-17 ოქტომბერი. ვატენშაიდი — კიოლნი 2:2, დინამო — კარლსრუე 1:1, დუისბურგი — აინტრახტი 1:0, ლევერკუზენი — შალკე 5:1, ფრაიბურგი — ვერდერი 0:0, დორტმუნდი — ჰამბურგი 2:1, ბაიერნი — მიონხენგლადბახი 3:1, შტუტგარტი — ნიურნბერგი 1:0, ლაიპციგი — კაიზერსლაუტერნი 0:0.

XIII ტური. 22-23 ოქტომბერი. კაიზერსლაუტერნი — დუისბურგი 2:0, მიონხენგლადბახი — ვატენშაიდი 3:3, ნიურნბერგი — ლაიპციგი 5:0, შალკე — დინამო 0:0, აინტრახტი — ბაიერნი 2:2, ფრაიბურგი — ლევერკუზენი 1:0, ვერდერი — ჰამბურგი 0:2, კიოლნი — დორტმუნდი 2:0, კარლსრუე — შტუტგარტი გადაიდო.

XIV ტური. 29-30 ოქტომბერი. დინამო — ფრაიბურგი 1:2, ჰამბურგი — კიოლნი 2:4, დორტმუნდი — მიონხენგლადბახი 3:0, შტუტგარტი — შალკე 3:0, ლევერკუზენი — ვერდერი 2:2, ვატენშაიდი — აინტრახტი 0:0, ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი 4:0, დუისბურგი — ნიურნბერგი 1:0, ლაიპციგი — კარლსრუე 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი (3) | 14 | 9 | 4 | 1 | 32-13 | 22 |
| ბაიერნი (2) | 14 | 7 | 5 | 2 | 37-15 | 19 |
| ვერდერი (1) | 14 | 7 | 5 | 2 | 26-16 | 19 |
| დუისბურგი (დ) | 14 | 6 | 6 | 2 | 21-16 | 18 |
| კაიზერსლ. (8) | 14 | 7 | 3 | 4 | 26-19 | 17 |
| ჰამბურგი (11) | 14 | 8 | 1 | 5 | 27-22 | 17 |
| ლევერკუზ. (5) | 14 | 6 | 4 | 4 | 28-21 | 16 |
| დორტმ. (4) | 14 | 6 | 3 | 5 | 22-20 | 15 |
| კიოლნი (12) | 14 | 6 | 3 | 5 | 19-18 | 15 |
| შტუტგარტი (7) | 13 | 4 | 5 | 4 | 20-24 | 13 |
| ფრაიბურგი (დ) | 14 | 4 | 4 | 6 | 23-26 | 12 |
| კარლსრუე (6) | 13 | 3 | 5 | 5 | 14-17 | 11 |
| ნიურნბ. (13) | 14 | 4 | 2 | 8 | 18-26 | 10 |
| მ-გლადბახი (9) | 14 | 3 | 4 | 7 | 22-31 | 10 |
| ლაიპციგი (დ) | 14 | 2 | 6 | 6 | 11-25 | 10 |
| ვატენშაიდი (14) | 14 | 1 | 7 | 6 | 18-[illegible] | 9 |
| დინამო (15) | 14 | 3 | 5 | 6 | 15-26 | 7 |
| შალკე (10) | 14 | 1 | 4 | 9 | 10-29 | 6 |

დრეზდენის „დინამოს" დაკლებული აქვს ოთხი ქულა.

## იტალია

VIII ტური. ფოჯა — მილანი 1:1, სამპდორია — რომა 0:1, ლეჩე — ჯენოა 0:0, კალიარი — ნაპოლი 1:2, ლაციო — პიაჩენცა 1:0, იუვენტუსი — ატალანტა 2:1, კრემონეზე — პარმა 0:0, ინტერი — ტორინო 0:0, რეჯანა — უდინეზე 1:1.

IX ტური. მილანი — იუვენტუსი 1:1, ჯენოა — პიაჩენცა 0:1, ნაპოლი — ლეჩე 3:1, უდინეზე — ინტერი 0:1, რომა — ლაციო 1:1, პარმა — რეჯანა 1:0, ტორინო — სამპდორია 2:3, ატალანტა — ფოჯა 1:1, კრემონეზე — კალიარი 3:1.

X ტური. ინტერი — პარმა 3:2, სამპდორია — მილანი 3:2, იუვენტუსი — ჯენოა 4:0, ლაციო — უდინეზე 2:1, კალიარი — ტორინო 2:1, ფოჯა — კრემონეზე 1:1, პიაჩენცა — ნაპოლი 1:1, ლეჩე — ატალანტა 5:1, რეჯანა — რომა 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი (4) | 10 | 6 | 3 | 1 | 21-9 | 15 |
| სამპდორია (7) | 10 | 7 | 1 | 2 | 20-13 | 15 |
| პარმა (3) | 10 | 6 | 2 | 2 | 15-7 | 14 |
| მილანი (1) | 10 | 5 | 4 | 1 | 12-5 | 14 |
| ინტერი (2) | 10 | 5 | 4 | 1 | 11-6 | 14 |
| ნაპოლი (11) | 10 | 4 | 4 | 2 | 12-10 | 12 |
| კრემონეზე (დ) | 10 | 4 | 3 | 3 | 10-8 | 11 |
| ლაციო (5) | 10 | 3 | 5 | 2 | 7-8 | 11 |
| ტორინო (9) | 10 | 4 | 2 | 4 | 13-12 | 10 |
| კალიარი (6) | 10 | 4 | 2 | 4 | 15-16 | 10 |
| ფოჯა (12) | 10 | 1 | 7 | 2 | 7-9 | 9 |
| რომა (10) | 10 | 3 | 3 | 4 | 9-12 | 9 |
| პიაჩენცა (დ) | 10 | 2 | 4 | 4 | 7-12 | 8 |
| უდინეზე (14) | 10 | 2 | 2 | 6 | 7-12 | 6 |
| ჯენოა (13) | 10 | 1 | 4 | 5 | 4-11 | 6 |
| რეჯანა (დ) | 10 | 0 | 6 | 4 | 4-11 | 6 |
| ატალანტა (8) | 10 | 2 | 2 | 6 | 13-21 | 6 |
| ლეჩე (დ) | 10 | 1 | 2 | 7 | 10-15 | 4 |

გასულ კვირას გაიმართა თასის მერვედფინალის განმეორებითი მატჩები. პანტაპუნტით გამოვარდნენ სერია A-ს გუნდები: „იუვენტუსმა", „კალიარიმ", „ნაპოლიმ", „კრემონეზემ" და „რეჯანამ" მეორე ლიგის გუნდებთან დათმეს, „ლაციომ" კი მთლად მესამე ლიგის ბინადარ „აველინოსთან" წააგო. ერთადერთ წყვილში, სადაც უძლიერესი ჯგუფის გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ, „უდინეზემ" მოუგო „ლეჩეს" 2:0, 2:3.

**ჰოლანდიის** ჩემპიონატში გამოტოვებული მატჩები გაიმართა. „ფეიენოორდმა" ზედიზედ მეორე ქულა დაკარგა, ამჯერად სტუმრად „ვენლოსთან" — 1:1. ლიდერი აგებდა კიდეც, მაგრამ 66-ე წუთზე ნიგერიელმა ობიკუმ იხსნა ქულა. ამასობაში როტერდამელებთან სხვაობა შეამცირა „აიაქსმა", რომელმაც ასევე სტუმრად „კამბურს" მოუგო 3:0. გოლები ლიტმანენმა, რაიკაარდმა და ოვერმარსმა გაიტანეს. მოულოდნელად შინ დამარცხდა „პსვ ეინდჰოვენი". მან „ვიტესთან" წააგო 0:1. ეს ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში 88-ე წუთზე პენალტით ყოფილმა პეესველმა ჰანს ჯილჰაუსმა შეაგდო. კიდევ ერთი მატჩი, „გრონინგენი" — „ვოლენდამი" უგოლო ყაიმით დასრულდა.

**ინგლისის** ჩემპიონატში აიწყვიტა ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა". მე-13 ტურში, რომელიც გასულ უქმეებზე გაიმართა, „მანჩესტერმა" ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა, დაამარცხა რა „ქუინზ პარკი" 2:1 და ახლა უახლოეს მდევრებს 11 ქულით უსწრებს. ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „არსენალი" — „ნორვიჩ სიტი" 0:0, „ბლექბერნი" — „ტოტენჰემი" 1:0, „ჩელსი" — „ოლდჰემი" 0:1, „იფსვიჩ თაუნი" — „ევერტონი" — 0:2, „ლივერპული" — „საუთჰემპტონი" 4:2, „ნიუკასლი" — „უიმბლდონი" 4:0, „შეფილდ უენსდეი" — „ლიდსი" 3:3, „სვინდონი" — „ასტონ ვილა" 1:2. ლიდერს 34 ქულა აქვს. მას 11-11 ქულით ჩამორჩებიან „არსენალი", „ნორვიჩი", „ბლექბერნი" და „ასტონ ვილა".

**იტალიაში** გრძელდება პოლიციის მიერ საფეხბურთო კლუბების შემოწმება. ამჯერად სამართალდამცავი ორგანოები „ლაციოს" პრეზიდენტით სერჯო კრანიოტით არიან დაინტერესებულნი. ეჭვობენ, რომ კრანიოტის არაკანონიერი გზით აქვს ნაშოვნი ფული, რომლითაც მან პოლ გესქოინისა და სულ ახლახანს ალენ ბოკშიჩის ყიდვა მოახერხა.

## ავსტრალია — არგენტინა

კვირას სიდნეის პირთამდე სავსე საბურთაო სტადიონზე პირველი მატჩი 1:1 დამთავრდა. ანგარიში 37-ე წუთზე არგენტინელმა აბელ ბალბომ გახსნა დიეგო მარადონას პასით, ხუთ წუთში კი ვიდმარმა წონასწორობა აღადგინა. განმეორებითი მატჩი 17 ნოემბერს ბუენოს-აირესში გაიმართება.

## აზია

შესარჩევი მატჩები აზიის ზონაში დამთავრდა და ორი გუნდი — საუდის არაბეთი და კორეა უკვე ამერიკის ვიზებს ელის. მოსალოდნელია, რომ შემდეგ ჩემპიონატზე, რომელიც 1998 წელს საფრანგეთში გაიმართება, აზია სამი გუნდით წარსდგება. ამის შესახებ გამოაცხადა ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა. ეს ან ევროპის, ან სამხრეთ ამერიკის ხარჯზე მოხდება.

# კახი ცხადაძე: კირიაკოვს ბევრად ვჯობივარ



. und als der Ball dann im Bremer Tor ist, stürzt Furtok jubelnd auf Zchadadse (Nr. 2) und Libero Binz (Nr. 5) zu

ჟურნალ „შპორტ ბილდ"-ში" დაბეჭდილ ფოტოზე „აინტრახტის" მორიგი გოლია აღბეჭდილი. თანაგუნდელებთან ერთად ხარობს კახი ცხადაძეც (№ 2).

ამასწინათ ჟურნალისტი დავით კაკაბაძე ესაუბრა ფრანკფურტის „აინტრახტში" მოთამაშე კახი ცხადაძეს. ეს ინტერვიუ გადაიცა „რადიო თავისუფლების" ქართული განყოფილების მიერ. შემოკლებით გთავაზობთ ამ საუბარს, რომელიც კასეტაზე ჩაიწერა და რედაქციაში მოგვიტანა თამრიკო ჩოგოლაშვილმა.

**— დღესდღეობით ბუნდესლიგაში საკმაოდ ბევრი ფეხბურთელია ყოფილი საბჭოთა კავშირიდან. თქვენ ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ბრძანდებით. ალბათ ხშირად ხვდებით თქვენს ყოფილ კოლეგებს, ვისთან ერთადაც სსრკ-ს ჩემპიონატში თამაშობდით. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ერთმანეთში?**

— ჩამოსვლისას ურთიერთობა მხოლოდ კირიაკოვთან მქონდა. ჩვენ ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში, ხოლო შემდეგ პირველ ნაკრებშიც ერთად ვთამაშობდით. ხშირად ვურეკავდით ერთმანეთს და მეგობრულად ვხვდებოდით თამაშებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ვფიქრობდი, ისე არ გამოდგა. ერთ-ერთ ინტერვიუში მან ჩემი კრიტიკა დაიწყო.

**— კონკრეტულად რა თქვა?**

— თითქოს კახი ცხადაძეს მხოლოდ თავით თამაში შეუძლია. სხვა არაფერი.

**— მარტო თქვენზე ილაპარაკა?**

— არა, მას ეკითხებოდნენ ყველა იმ ფეხბურთელზე, ვინც ჩამოსული იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებიდან. მეორე დღეს ჩემმა თანაგუნდელებმა მომიტანეს ამბავი და მითხრეს: რომ იძახდი ჩემი მეგობარიაო, აი, შენმა მეგობარმა რა დაწერაო.

**— აქაური სპეციალისტები და თქვენი მწვრთნელი დრაგოსლავ სტეპანოვიჩი აღფრთოვანებულები იყვნენ თქვენი თამაშით. იმიტომაც მოგიწვიათ და გვარიანი თანხაც გადაგიხადათ. მისი მემკვიდრე ტოპმიოლერი, რომელიც ახლა ხელმძღვანელობს „აინტრახტს", ძალიან ხშირად აძლევს ინტერვიუებს და არ უშვებს შესაძლებლობას გაუსვას ხაზი თქვენს ძალიან კარგ თამაშს ბუნდესლიგაში. სხვათაშორის, ამას წინათ ისიც კი თქვა, რომ ფრანკფურტის „აინტრახტს" მეტი უცხოელი ჰყავს, ვიდრე დაშვებულია, ე.ი. ყოველ თამაშში, როგორც ცნობილია, სამი მოთამაშის გამოყვანა შეუძლია გუნდს და თქვა, რომ ცხადაძეს ადგილი გარანტირებული აქვსო და დანარჩენ უცხოელებში უნდა ავარჩიოთ ხოლმე, რომელი ვათამაშოთ. ამით კირიაკოვის რეპლიკას შეიძლება პასუხი გაეცეს.**

— მე ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ; მე ერთს ვიტყვი: როგორ ცუდადაც არ უნდა ითამაშოს კირიაკოვმა, მე არასდროს არ მივცემდი ინტერვიუს, რომ ის ცუდად თამაშობს — მე მასზე ბევრად უკეთესი ვარ. პირიქით, მე ბევრჯერ მითქვამს, რომ კირიაკოვი ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდია. სიმართლე გითხრათ, წელს იგი უფრო ცუდად თამაშობს, ვიდრე შარშან, მაგრამ არასდროს არ ვეტყვი ამას გერმანელ მიმომხილველებს, იმიტომ რომ ერთად ვთამაშობდით, ვიყავით ერთად ნაკრებში და ჩემთვის გაუგებარია ეს ინტერვიუ.

**— თქვენი გუნდი ერთპიროვნული ლიდერია გერმანიის ჩემპიონატისა და, ჯერჯერობით, უდავოა, რომ ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. თქვენი აზრით, ნაადრევია თუ არა ჩემპიონობაზე ლაპარაკი და, საერთოდ, ვინ მიგაჩნიათ კონკურენტებად ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში?**

— თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ ბუნდესლიგაში თუნდაც ის სამი ქულა არავითარი ფორა არ არის. გუნდმა ყოველ მატჩში თუ არ გამოავლინა თავისი მაქსიმუმი და ყოველ მატჩში ბოლომდე თუ არ იბრძოლა ორი ქულისთვის, ის, სულ მცირე, ორ ტურში დაკარგავს ერთპიროვნულ ლიდერობას.

**— 1990 წელს, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოეყო საკავშირო სტრუქტურებს, თქვენ მოსკოვის „სპარტაკში" გადასვლა და დიდი ფეხბურთის თამაში ამჯობინეთ. ახლა ზედმეტია იმის კითხვა, სწორად მიგაჩნიათ თქვენი გადაწყვეტილება თუ არა, მაგრამ მაშინ საქართველოში მუქარასაც კი იღებდით. ხომ არ გაიხსენებდით იმ დროს?**

— არასასიამოვნოა იმ პერიოდის გახსენება. ნამდვილად იყო მუქარა, წერილებიც გაზეთებში იმის შესახებ, რომ მე ვარ მოღალატე და რომ მე დავტოვე საქართველო. მე მაშინაც და ეხლაც ვფიქრობ იმას, თუ რაში უნდა გამოვდგომოდი საქართველოს. „სნგ"-ს ნაკრებში რომ დავიწყე თამაში, მაშინაც ვერ გამიგეს. მე არც ამას არ მივაქციე ყურადღება, რადგან ვთვლიდი, რომ ეს ჩემთვის აუცილებელი იყო. მე ვფიქრობდი, რომ, ის, რომ ვითამაშებდი ევროპის ჩემპიონატზე ევროპის რომელიმე გუნდში, ეს საქართველოს სახელიც იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ბევრმა ვერ გამიგო და, როგორც იტყვიან, დრომ თავისი სიტყვა თქვა. გავიდა დრო და ეხლა უკვე არ არსებობს საქართველოში ადამიანი, რომელმაც თქვას: ცხადაძემ დიდი შეცდომა დაუშვა, მოსკოვის „სპარტაკში" რომ დაიწყო თამაშიო.

**— საქართველოში დღეს ძალიან მძიმე მდგომარეობაა. აძერხებთ თუ არა ცნობების მიღებას საქართველოდან?**

— რა თქმა უნდა. მე ვესაუბრები ნათესავებს, მეგობრებს და თითქმის სრული ინფორმაცია მაქვს მის შესახებ, თუ რა ხდება დღესდღეობით საქართველოში. სასიკეთო ჯერ არაფერია და ჩემი ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ საქართველოში ასეთი არანორმალური მდგომარეობაა. ძალიან დამწუხრებული ვარ. მინდა რაღაცით დავეხმარო საქართველოს და, ალბათ, სულ მალე ამაში ჩემს წვლილსაც შევიტან.



კრუიფის სიძე და ვაჟი „ბარსელონას" ვარჯიშზე

# „ბარსა" კრუიფის ოჯახი

წინა სამშაბათს „ბარსელონა" — „კოპენჰაგენის" ამხანაგურ მატჩზე მოსული მაყურებელი ისტორიული ფაქტის მოწმე შეიქნა: „ბარსელონის" შემადგენლობაში პირველად ითამაშა იოჰან კრუიფის ვაჟმა, 19 წლის ხორდი კრუიფმა. მან 70 წუთი დაჰყო მოედანზე და ალბათ კარგადაც ითამაშა, ვინაიდან უკვე ხუთშაბათს „ბარსას" პრეზიდენტმა ლუის ნუნიესმა ახალგაზრდა თავდამსხმელთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს მოხდა 28 ოქტომბერს: ზუსტად 20 წლის წინ, 1973 წლის 28 ოქტომბერს შედგა იოჰან კრუიფის დებიუტი „ბარსელონას" შემადგენლობაში. აქამდე ხორდი კლუბის მეორე გუნდში თამაშობდა და შარშანდელ სეზონში მეორე ლიგაში 10 მატჩი ითამაშა და ორი გოლიც გაიტანა.

ასე რომ, კრუიფის ოჯახი სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს „ბარსელონაში". არ დაგავიწყდეთ, რომ სუბისარეტას შემცვლელი ხესუს მარიანო ცნობილი ჰოლანდიელის სიძეა.



კრუიფი პირადი მაგალითით ასწავლის ოჯახის წევრებს

კალათბურთი

# შესაძლოა სისტემა შეიცვალოს

პირველი ჯგუფის თამაშების დამთავრების შემდეგ, რამდენიმე საკითხის დასაზუსტებლად ვესაუბრეთ კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს როლანდ ხომერიკს.

**— ბატონო როლანდ, თქვენ რატომ მოგიწიათ „მერანისა“ და „ჯიქის“ შეხვედრის [illegible], მსაჯები არ მოვიდნენ?**

— ეს გაუგებრობის გამო მოხდა. ნინიაშვილისთვის არასწორად უთქვამთ მატჩის დღე, რის გამოც თამაშის წინ დარბაზში მხოლოდ ერთი მსაჯი აღმოჩნდა. მეორე მსაჯობა მე [illegible]ვიკისრე.

**— ფედერაციის ბოლო სხდომაზე მიღებული წინასწარი შეთანხმების თანახმად, მსაჯი ერთ თამაშში 10 დოლარს მიიღებს. საბოლოო გადაწყვეტილება ხომ არ მიგიღიათ?**

— ჯერ არა, რადგან ყველა გუნდი საქმის კურსში არ არის, არადა ეს თანხა მათი გასაღებია. უახლოეს თათბირზე განვიხილავთ ამ საკითხს. მის გადასაწყვეტად საერთო თანხმობაა საჭირო. განვიხილავთ მეორე საკითხსაც. რადგან ფინანსური გაჭირვების გამო სამტრედიამაც უარი თქვა პირველობაში მონაწილეობაზე და გუნდების რაოდენობა 10-მდე შემცირდა, რამდენიმე მწვრთნელმა ჩემპიონატის სისტემის შეცვლა გვთხოვა, რათა მეტი თამაშები გამოუვიდეთ. საუბარია ორი წრის შემდეგ ექვსი უძლიერესის ისევ ორ წრიულ თამაშზე, რის შემდეგ 4 გუნდი პლეი-ოფით გამოავლენს სუპერფინალისტებს. ამ საკითხსაც საერთო თანხმობა სჭირდება.

**— სხვა რამ სირთულე ხომ არ ყოფილა?**

— ჯერ არა. მოგვიანებით, როდესაც დაძაბული თამაშები დაიწყება (ჯერ მხოლოდ ერთი იყო), ალბათ სირთულეებიც წარმოიშობა. ხომ იცით ყველას მოგება უნდა.

---

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი.
I ტური

29 ოქტომბერი
შევარდენი — ჯიქი 56:95

შევარდენი: კ. მაჭავარიანი (14), სართანია (25), ლვინეფაძე (2), ისაკაძე (2), დ. მაჭავარიანი, გაფრინდაშვილი (2), ინაძე (5), ფიოდოროვი, ესიტაშვილი (6), თაბუაშვილი.
ჯიქი: დავითაია, ლოლიშვილი (14), მერკვილაძე (16), შერმადინი (7), ბოლქვაძე (31); ორჯონიკიძე; წივწივაძე (9), გოგალაძე (14), კვეზერელი (2), კოპალეიშვილი (2).

„ჯიქი“ თავიდანვე დაწინაურდა, თუმცა ორივე გუნდი კალათს ცუდად უმიზნებდა და გადაცემებშიც სცოდავდა. ამიტომ ანგარიში კარგა ხანს სათვეხბურთოზე ოდნავ მეტი იყო, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოსკენ საქმე გამოსწორდა. საბოლოოდ ჯიქთა სნაიპერმა ბოლქვაძემ ოცდაორი ტყორცნიდან ექვსი ააცილა (სამი საჯარიმო, ერთი სამქულიანი და ორი ორქულიანი), შევარდენელმა სართანიამ კი ოცდაცამეტიდან ოცდაერთი (ოთხი საჯარიმო, თორმეტი სამქულიანი და ხუთი ორქულიანი).

მერანი — კაქტუსი 54:75

მერანი: გაბრიჩიძე (6), ჩიხლაძე, ანდღულაძე (15), კობახიძე (4), პეტრიაშვილი (4); გიგაური (14), შუხოშვილი, ჯალალონია (1), გურგენიძე, ბერიძე (5), ბარბაქაძე, ჯაფარიძე (5)
კაქტუსი: ნაცვლიშვილი (19), ა. ულენტი (16), ბერძენიშვილი (6), ოთიურიძე (9), აბრამიძე (7); ხუხაშვილი (5), ქართველიშვილი (9), აბულაძე (4).

„კაქტუსმა“ პირველ ორ მატჩში თორმეტი მოთამაშე გამოიყვანა, „მერანთან“ კი მხოლოდ რვა. რაც შეეხება „მერანს“ მისი თორმეტი კალათბურთელიდან ამ შეხვედრაში სამმა მარტო პირველ ტაიმში ითამაშა (მათ შორის ორმა სასტარტო ხუთეულიდან), ხუთმა მარტო მეორეში, ოთხმა კი ორივეში. „კაქტუსი“ შედარებით შებოჭილი გვეჩვენა, მაგრამ ბოლო წამზე ნაცვლიშვილმა ისევ შეასრულა საფირმო ილეთი, თანაგუნდელის მიერ კალათის სიახლოვეს აგდებული ბურთი ნახტომით ლამაზად ჩატენა.

30 ოქტომბერი
მერანი — ჯიქი 70:60

მერანი: გიგაური (10), გაბრიჩიძე (14), ბარბაქაძე, ანდღულაძე (19), პეტრიაშვილი (16); ბერიძე (4), ჩიხლაძე (6), კობახიძე (1)
ჯიქი: ბოლქვაძე (24), დავითაია (9), ლოლიშვილი (14), მერკვილაძე (3), შერმადინი (4); ორჯონიკიძე, კოპალეიშვილი (3), წივწივაძე (1), გოგალაძე (2).

ჩემპიონატის წინ, კალათბურთის ფედერაციაში თორმეტი მსაჯის გვარი ჩაგვაწერინეს. თორმეტამდე საქმე არ მისულა, პირველობის მეშვიდე თამაშის სჯა (სულ 150-მდე უნდა ჩატარდეს) თავად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს როლანდ ხომერიკს მოუწია. საგულისხმო იყო ისიც, რომ „მერანს“ მაისურები გამოეცვალა და მოედანზე ერთდროულად ორი ოთხი ნომერი ვიხილეთ. სკუთრივ თამაშმა კი კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა.

ვითა — კაქტუსი 85:63

ვითა: შენგელია (24), ჩერქეზიშვილი (10), დადიანი (11), კობეშავიძე (27), ჩუბინიძე (2); ბერუაშვილი (4), ტურაშვილი (7)
კაქტუსი: ნაცვლიშვილი (33), ოთიურიძე, ბერძენიშვილი (10), ქართველიშვილი (2), ა. ულენტი (10); აბრამიძე (4), ხუხაშვილი (3), აბულაძე (1)

მაყურებელს ალლო იშვიათად თუ უმტყუნებს. სავსე დარბაზმა მხოლოდ ერთხელ მოაცილა მოედანს „თვალი, ისიც, როდესაც ვიღაც გიჟმა მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე რაღაც პაკეტი ააფეთქა. ამ დროისთვის, თანაბარი შეხვედრა „ვითამ“ უკვე თავის სასარგებლოდ გარდატეხა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ერთი პერიოდი „კაქტუსი“ ექვსი ქულით იყო წინ. მათმა ლიდერმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა ამ თამაშშიც ივარგა. მას პირველად მეათე ტყორცნი გაუცუდდა. ნაცვლიშვილმა სულ ოცდაექვსჯერ ესროლა ბურთი კალათს და აქედან ცხრამეტჯერ ზუსტად. ვითელმა კახა შენგელიამ „კაქტუსის“ ტანმაღალ ეკალთა გარემოცვაში, შეტევაში 50 პროცენტიანი შედეგი აჩვენა, დაცვაში კი ხუთი ბლოკშოთი (ნატყორცნი ბურთის დაფარება) შეასრულა. მატჩის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრემია კი ვითელ კობეშავიძეს ერგო, არადა მიშა წინა დღეს გვეუბნებოდა, ფეხი მტკივა და ხვალ შეიძლება ვერ ვითამაშოო.

31 ოქტომბერი
მერანი — შევარდენი 101:63

მერანი: გაბრიჩიძე (15), კობახიძე (14), პეტრიაშვილი (19), გიგაური (11), ანდღულაძე (15); ბერიძე (4), ჩიხლაძე (2), ბარბაქაძე (5), გურგენიძე (7), ჯაფარიძე (9)
შევარდენი: კ. მაჭავარიანი (21), ისაკაძე, ლვინეფაძე (2), სართანია (20), ფიოდოროვი (3); გაფრინდაშვილი (3), ინაძე (2), ესიტაშვილი (4), ქაგთარაძე, თაბუაშვილი (8)

როგორც მოსალოდნელი იყო „მერანი“ „შევარდენზე“ ძლიერი გამოდგა. ასალელვებელი შეხვედრაში არაფერი მომხდარა.

ვითა — ჯიქი 91:80

ვითა: ტურაშვილი (5), დადიანი (23), შენგელია (6), უძილაური (16), ბეჟანიშვილი (29); მაჭარაძე (5), ჩუბინიძე (7)
ჯიქი: ორჯონიკიძე, ლოლიშვილი (29), ბოლქვაძე (15), მერკვილაძე (19), შერმადინი (9); წივწივაძე (6), გოგალაძე (2), კოპალეიშვილი, დავითაია

ჩემპიონმა შვიდი კალათბურთელით ითამაშა. მოედანზე არ იყვნენ კობეშავიძე და ჩერქეზიშვილი, სასტარტო ხუთეულის ორი წამყვანი მოთამაშე. შენგელიამაც დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთი სკამზე გაატარა. დადიანმა მართალია 23 ქულა შესძინა გუნდს, მაგრამ ეს დღე მისთვის უიღბლო იყო. პირველ ტაიმში მან ზედიზედ თოთხმეტი ტყორცნა ააცილა მიზანს. უძილაური კი პირველად მეშვიდე ჯერზე შეცდა, როდესაც მარცხნიდან გარღვევებს შეეშვა და საშუალო მანძილიდან სროლაში სცადა ბედი. „ჯიქმა“ დიდი ამბავი თუ ჩემპიონს ვეთამაშებით და ცდილობდა ტოლი არ დაედო მეტოქისთვის. ლოლიშვილმა მთელი აქცენტი სამქულიანებზე გადაიტანა და თხუთმეტიდან რვა კალათში მოახვედრა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვითა | 4 | 4 | 0 | 388-264 | 8 |
| კაქტუსი | 4 | 3 | 1 | 333-258 | 7 |
| მერანი | 4 | 2 | 2 | 283-282 | 6 |
| ჯიქი | 4 | 1 | 3 | 283-302 | 5 |
| შევარდენი | 4 | 0 | 4 | 253-414 | 4 |

ზეგ ჩემპიონატში დანარჩენი 5 გუნდიც ჩაებმება. გთავაზობთ თამაშთა განრიგს:

4 ნოემბერი: „აზოტი“ — „თბილისი“, „თორსი“ — „ჯიხვი“, 5 ნოემბერი: „ჯიხვი“ — „თბილისი“, „თორსი“ — „დინამო“, 6 ნოემბერი: „დინამო“ — „ჯიხვი“, „აზოტი“ — „თორსი“, 7 ნოემბერი: „ჯიხვი“ — „აზოტი“, „თბილისი“ — „დინამო“; 8 ნოემბერი: „დინამო“ — „აზოტი“, „თბილისი“ — „თორსი“.

---




ნიკა ჩერქეზიშვილი „ვითა“ — „კაქტუსის“ მატჩში

# თანდათან უკეთ ვითამაშებთ

„ვითას“ მეექვსე ნომერმა მიხეილ კობეშავიძემ (1968წ., 194 სმ) პირველ ეტაპზე ოთხიდან სამ შეხვედრაში ითამაშა. ამ მატჩებში მისი 40 ტყორცნიდან 26 ზუსტი იყო, აქედან 7 სამქულიანი, 15 ორქულიანი, 5 კი საჯარიმო. მლუს იგი სასიამოვნო მოსაუბრეა.

**— მიშა, მკვიდრი ვითელი ხარ?**

— თავიდან „მართვეში“ ვთამაშობდი თამაზ ოქრუაშვილთან, შემდეგ 1986-90 წლებში „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ვიყავი, სადაც, როგორც ახალგაზრდა ცოტ-ცოტას გამოვდიოდი. ამის შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდში ორჯერ საქართველოს ჩემპიონი გავხდი. იქ „ვითას“ დღევანდელი მწვრთნელი ბესო ლიპარტელიანი გვხელმძღვანელობდა. მერე ერთი წელი თელავის „ბურჯში“ გავატარე, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიგო.

**— რატომ გადახვედი მაინცდამაინც „ვითაში“?**

— ამას ახალ გუნდში გადასვლას ვერც უწოდებ. ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩვენთან ერთად თამაშობდა თემურ დათიკაშვილი, რომელიც „ვითას“ მეპატრონე გახდა. მწვრთნელად დაინიშნა ბესო ლიპარტელიანი და ამან განაპირობა გუნდის შექმნა. დადიანმა, უძილაურმა, ჩერქეზიშვილმა, ორმოცაძემ, ტურაშვილმა, მე... მოკლედ ძველმა მეგობრებმა ერთად მოვიყარეთ თავი.

**— რა გეგმები გაქვთ?**

— მხოლოდ და მხოლოდ სუპერფინალი

**— სერთოდ გუნდზე რას იტყვი?**

— ჭირჭიროებით ყველ[illegible]ერმა ხელი შეგვიშალა. შენგელიამ და ბარამიძემ ბოტკინი მოიხადეს. ორმოცაძემ ფეხი იტკინა, ფეხი ვიტკინე მეც, ოღონდ უფრო იოლი ფორმით. ჩემპიონატიც გადაიდო და უცბად დაიწყო. ორი-სამი ტურის შემდეგ ფორმაში შევალთ და სხვა გუნდებიც კალაპოტში ჩადგებიან. პირველობა მერე უფრო საინტერესო იქნება.

**— დაცვაში როგორ თამაშობს „ვითა“?**

— საქართველოში არ მეგულება გუნდი დაცვაში კარგად რომ თამაშობდეს. „ვითას“ მთავარი მიზანი დაცვის გაუმჯობესებაა. კონკურენტებთან თამაშებში გამოჩნდება ჩვენი დაცვის სახე.



მიხეილ კობეშავიძე

**— კონკურენტი ვინ გეგულებათ?**

— „თბილისი“, „დინამო“, „თორსი“.

**— „კაქტუსი“?**

— „კაქტუსი“ პერსპექტიული და საინტერესო გუნდია. იგი ამ ჩემპიონატში ბევრს გააწვალებს.

**— ეს სეზონი წინაზე უკეთესი ჩანს?**

— შეიძლება ასეც იყოს. შარშან ორი ძლიერი გუნდი იყო, წელს ალბათ, მეტი იქნება, მაგრამ ევროპულ დონესთან ჯერ შორს ვართ. ევროთასებისთვის რომ ვემზადებოდით მართლა კარგი გუნდი ვიყავით...

**— წარსულში რატომ ამბობ?**

— მაისში მზადება საგანგებო მონდომებით დავიწყეთ. გვყავდა სამი ცენტრი: კორძაძე, ბერუაშვილი და შენგელია. შენგელია დიდი ძალაა. მან შვედეთში თამაშის დროს, თავისი გუნდი მე-16-დან მე-5-ზე გაიყვანა და მეორე ადგილზე გასულს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა. შემდეგ დაგვემატა ტურაშვილი. როდესაც გაირკვა, რომ შეჯიბრებაზე ვერ გავდივართ, სიტუაცია შეიცვალა, გული აგვიცრუვდა, ათი დღე დავისვენეთ და სულ სხვა განწყობით დავიწყეთ ჩემპიონატისთვის მზადება. ევროპაზე რომ გავსულიყავით პირველ წრეს გავცდებოდით.

**— ამ ეტაპზე შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— ფეხის ტკივილის გამო კარგად ვერ მოვემზადე. ტრავმა მთელი გასული სეზონის განმავლობაში მაწუხებდა და ბოლო დროს შეკრებაზე გამიმიზეზდა. პირველ რიგში სისწრაფე მაკლია. ფორმაში შესვლამდე დრო უნდა გავიდეს.

# № 13 ნაცვლიშვილი

**— გაგვაცანი თავი.**

— თბილისელი ვარ. კალათბურთზე 1982 წელს, 7 წლისა შევედი. „მართვეში“ ვაჟა ჰკუასელთან დავიწყე ვარჯიში. მანამდე ცურვაზე და ჩოგბურთზე დავდიოდი, მაგრამ ცურვას ფილტვების ანთების გამო შევეშვი, ჩოგბურთი კი საკუთარი სურვილით მივატოვე. ჩემი არჩევანი იმანაც განაპირობა, რომ მამაჩემი სტუდენტობის დროს თავად თამაშობდა კალათბურთს მოსკოვის „დინამოს“ დუბლებში.

**— ბავშვობიდან მაღალი იყავი?**

— განსაკუთრებით მაღალი არ ვყოფილვარ. ბოლო ორი წელია რაც ტანი ავიყარე. ორი წლის წინ, „მართვეში“ ევროპის ჩემპიონატისთვის რომ ვემზადებოდი 195 სმ ვიყავი.

**— კაქტუსელები ყველანი ერთად იზრდებოდით?**



ვახტანგ ნაცვლიშვილი

— ყველა არა. მე, არჩილ ძლენტი და ირაკლი ხოშტარია, რომელსაც ეხლა ტრავმა აქვს. ისე, „მართვეში“ მაინც ერთად ვიყავით. სხვადასხვა ასაკის ბიჭები ერთად ვთამაშობდით.

**— მოგწონს ახალდაწყებული ჩემპიონატი?**

— შარშანდელთან შედარებით უკეთესია, მაგრამ ევროპასთან შედარებით... მათი 16 წლის ბიჭები უკვე ძალიან ძლიერები არიან.

**— მაინც რაში გვჯობნიან?**

— ტექნიკაში, სიმაღლეში...

**— საკუთარ თავს რას საყვედურობ?**

— შორი და საშუალო მანძილიდან სროლა მაქვს გასაუმჯობესებელი.

**— შენი საყვარელი ილეთი?**

— ჩატენვა, მაგრამ ულამაზო ჩატენვას ლამაზი დაფარება მირჩევნია.

**— შენზე შიშობენ, ქებამ და ტაშმა არ აწყინოსო.**

— ეს ქართული მსოფლმხედველობაა. მსოფლიოში ბევრი მაგალითია იმისა, რომ ახალგაზრდა კარგად თამაშობდა და მერეც აუმჯობესებდა.

**— დარბაზის ტაში შენზე როგორ მოქმედებს?**

— მაყურებლისთვის კი არა, გუნდისთვის ვთამაშობ. ჩვენი გუნდი, ჩემი აზრით, ყველაზე ლამაზად თამაშობს, მაყურებლის აზრი კი არ მაინტერესებს.

**— „კაქტუსს“ რა პერსპექტივა აქვს?**

— ჩემპიონატი წინ არის. ერთი თვეა რაც შევიკრიბეთ. პერსპექტივა კი საქართველოში ყველა გუნდს აქვს, რადგან ჩვენში კალათბურთი პროგრესს განიცდის.

**— რომელ ადგილს დაიკავებთ?**

— საპრიზო ადგილისთვის ვიბრძოლებთ. უფრო ზუსტად ბოლო ტურებში გამოიკვეთება.

**— ვინ არის გუნდში შენი საუკეთესო პარტნიორი?**

— ყველასთან შეთამაშებული ვარ.

**— რაზე ოცნებობ როგორც კალათბურთელი?**

— უფრო დიდი კალათბურთი ვითამაშო.

**— NBA?**

— (იცინის) არ ვიცი.

ილია ბაბუნაშვილი
გია ახალაძის ფოტოები

# ტოტოლოტო
## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 34 5-7 ნოემბერი

| | | შარშან | პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|
| | **გერმანიის ჩემპიონატი** | | | |
| 1 | მიონხენგლადბახი — ჰამბურგი | 0:0, 2:0 | 4 4 2 | 1 X |
| 2 | კიოლნი — ვერდერი | 0:0, 0:2 | 2 5 3 | X 2 |
| 3 | ნიურნბერგი — ბაიერნი | 0:0, 0:1 | 2 3 5 | X 2 |
| 4 | აინტრახტი — დორტმუნდი | 4:1, 0:3 | 6 3 1 | 1 |
| | **საფრანგეთის ჩემპიონატი** | | | |
| 5 | მარსელი — კაენი | 2:1, 3:2 | 8 1 1 | 1 |
| 6 | სენტ ეტიენი — ოსერი | 1:0, 0:1 | 5 3 2 | 1 X |
| 7 | ლე ავრი — კანი | — | 4 3 3 | 1 X 2 |
| | **იტალიის ჩემპიონატი** | | | |
| 8 | ინტერი — მილანი | 1:1, 1:1 | 2 6 2 | X |
| 9 | პარმა — იუვენტუსი | 2:1, 2:2 | 4 4 2 | 1 X |
| 10 | ნაპოლი — ლაციო | 3:1, 3:4 | 5 3 2 | 1 X |
| 11 | სამპდორია — კალიარი | 2:0, 2:0 | 7 2 1 | 1 |

№ 24-№ 33 ტირაჟებში სულ შემოსულია 279 360 კუპონი

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 17 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61

# სარბიელი

# ტოტალიზატორი "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგების კოეფიციენტია — 4,0.

ფსონის მინიმალური თანხაა 1000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

მოგებები გაიცემა ქვითარში აღნიშნული ბოლო მატჩის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე.

დაწვრილებით წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ ეროვნული სტადიონის V სალაროში.

## უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 2-4 ნოემბერი | აუსტრია — ბარსელონა | | 3,1 | 2,0 | 1,8 |
| | გალათასარაი — მანჩესტერ იუნ. | | 2,2 | 2,2 | 2,2 |
| | ვერდერი — ლევსკი | 0:1 | 1,6 | 2,0 | 3,9 |
| | ფეიენოორდი — პორტუ | | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | აბერდინი — ტორინო | | 2,5 | 1,8 | 2,2 |
| | ცსკა — ბენფიკა | | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | ბეშიქთაში — აიაქსი | | 2,6 | 2,0 | 2,0 |
| | იუვენტუსი — კონგსვინგერი | 0:2 | 2,6 | 2,0 | 2,0 |
| | ბოავიშტა — ლაციო | | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | ოლიმპიაკოსი — ტენერიფე | | 1,6 | 2,0 | 3,9 |
| | დნეპრი — აინტრახტი | | 3,4 | 2,0 | 1,7 |
| | ანტვერპენი — კაზინო | | -1,1 | 2,4 | 9,0 |
| | სერვეტი — ბორდო | | 1,8 | 2,0 | 3,1 |
| | ოფი — ატლეტიკო | | 2,3 | 2,0 | 2,3 |
| | კალიარი—ტრაბზონსფორი | 0:1 | 1,8 | 2,0 | 3,0 |
| | აპოლონი — ინტერი | | 8,3 | 2,1 | 1,2 |
| | სპორტინგი — სელტიკი | | 1,2 | 2,2 | 7,5 |
| | ნორვიჩი — ბაიერნი | | 2,6 | 2,0 | 2,0 |
| | კარლსრუე — ვალენსია | | 1,5 | 2,2 | 3,5 |
| | ასტონ ვილა — ლა კორუნია | | 1,6 | 2,0 | 3,5 |
| 5 ნოემბერი | მიონხენგლადბახი — ჰამბურგი | | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | კაიზერსლაუტერნი — ვატენშაიდი | | 1,1 | 2,5 | 8,3 |
| 6 ნოემბერი | კიოლნი — ვერდერი | | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | კარლსრუე — დუისბურგი | | 2,2 | 2,2 | 2,2 |
| | ნიურნბერგი — ბაიერნი | | 3,3 | 2,3 | 1,5 |
| | დრეზდენი — ლევერკუზენი | | 3,6 | 2,3 | 1,4 |
| | აინტრახტი — დორტმუნდი | | 1,4 | 2,2 | 4,0 |
| | მონაკო — პსჟ | | 1,8 | 2,0 | 3,0 |
| | ქუინზ პარკი — ბლექბერნი | | 1,4 | 2,2 | 4,0 |
| | მანჩესტერ სიტი — მანჩესტერ იუნ. | | 2,6 | 2,1 | 1,9 |
| | არსენალი — ასტონ ვილა | | 1,4 | 2,0 | 4,5 |
| 7 ნოემბერი | სელტა — ბილბაო | | 3,0 | 2,0 | 1,8 |
| | ხიხონი — ვალენსია | | 3,0 | 2,0 | 1,8 |
| | სარაგოსა — ატლეტიკო | | 2,4 | 2,0 | 2,2 |
| | კრემონეზე — ლეჩე | | 1,2 | 2,2 | 7,5 |
| | ინტერი — მილანი | | 1,8 | 1,8 | 3,2 |
| | ნაპოლი — ლაციო | | 1,6 | 2,0 | 3,7 |
| | პარმა — იუვენტუსი | | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | სამპდორია — კალიარი | | 1,1 | 2,5 | 8,3 |
| | ტორინო — რეჯანა | | 1,1 | 2,5 | 8,3 |
| | უდინეზე — ჯენოა | | 1,3 | 2,1 | 5,3 |

წინა ტურის შედეგები:

29-31 ოქტომბერი: მანჩესტერ იუნ. — ქუინზ პარკი 2:1, ბლექბერნი — ტოტენჰემი 1:0, არსენალი — ნორვიჩი 0:0

# შედეგთა დაფა

## ძიუდო

მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰამილტონი, კანადა. 30 სექტემბერი — 3 ოქტომბერი. ქალები

+72 კგ. 1. იოჰანა ჰაგნი (გერმანია), 2. ანო (იაპონია), 3. სვეტლანა გუნდარენკო (რუსეთი) და მონიკ ვან დერ ლეე (ჰოლანდია)

72 კგ. 1. ლენ ჩინ იუ (ჩინეთი), 2. ქეით ჰოუვი (ბრიტანეთი), 3. კიმ მი იუნი (კორეა) და ვიქტორია კაზუნინა (რუსეთი). კაზუნინა საქართველოს სახელით ჭიდაობდა სსრკ 1990 წლის ჩემპიონატზე

66 კგ. 1. ჩო მინ სუნი (კორეა), 2. ლილიკო ოგასავა (იაპონია), 3. დი ციანი (ჩინეთი) და ოდალის რევე ხიმერესი (კუბა)

61 კგ. 1. ჰელა ვან დე კავეიე (ბელგია), 2. იაელ არადი (ისრაელი), 3. დაიანა ბელი (ბრიტანეთი) და ზულუეტა ბელტრანი (კუბა)

56 კგ. 1. ნიკოლ ფეარბრაზერი (ბრიტანეთი), 2. ჩიუორი ტატენო (იაპონია), 3. ი. გალი (ჰოლანდია) და დრიულის გონსალეს მორალესი (კუბა)

51 კგ. 1. ვერდესია როდრიგესი (კუბა), 2. ალმუნედა მუნიოს მარტინესი (ესპანეთი), 3. სუძუკი (იაპონია) და სესილ ნოვაკი (საფრანგეთი)

48 კგ. 1. რიოკო ტამურა (იაპონია), 2. ლი აიინი (ჩინეთი), 3. ჟ. ტორტორა (იტალია) და ჰირონი (ბრიტანეთი)

აბსოლუტური. 1. ბ. მაქსიმოვა (პოლონეთი), 2. ა. სერიესი (ჰოლანდია), 3. დი ციანი (ჩინეთი) და მუნ პი იუნი (კორეა)

ვაჟთა ჩემპიონატში 95 კგ. წონაში მეორე ადგილი დაიკავა სტეფან ტრენომ (საფრანგეთი)

ევროპის გუნდური ჩემპიონატი. ვაჟები. მაინის ფრანკფურტი, გერმანია. 23-24 ოქტომბერი

ფინალი: საფრანგეთი — გერმანია 7:3. მესამე ადგილისთვის: რუსეთი — ავსტრია 5:1, თურქეთი — ბრიტანეთი 5:1. საქართველო არ მონაწილეობდა.

## ჩოგბურთი

25-31.X

სტოკჰოლმის ღია პირველობა.

ნახევარფინალი: მიხაელ შტიხი (გერმანია) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:4, 7:6; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — მალივაი ვოშინგტონი (აშშ) 6:2, 6:1.

ფინალი: შტიხი — ივანიშევიჩი 4:6, 7:6, 7:6, 6:2.

პირველი ნომერი პიტ სამპრასი (აშშ) მეორე წრეში დამარცხდა კარლოს კოსტასთან (ესპანეთი) 6:7, 6:2, 1:6

ესენის (გერმანია) დიდი პრიზი ქალთათვის.

ნახევარფინალი: ნატალია მედვედევა (უკრაინა) — არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, პირველი ნომერი) 4:6, 6:2, 6:4; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, მეორე ნომერი) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:3, 7:5.

ფინალი: მედვედევა — მარტინესი 6:7, 7:5, 6:4

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ გამოაქვეყნა საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულები ნოემბრის დასაწყისისთვის:

ქალები: 1. შტეფი გრაფი (გერმანია), 2. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი), 3. მარტინა ნავრატილოვა (აშშ), 4. მონიკა სელეში (იუგოსლავია), 5. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი), 6. მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ), 7. გაბრიელა საბატინი (არგენტინა), 8. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი), 9. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ), 10. ანკე ჰუბერი (გერმანია)

ვაჟები: 1. პიტ სამპრასი (აშშ), 2. ჯიმ კურიე (აშშ), 3. ბორის ბეკერი (გერმანია), 4. მიხაელ შტიხი (გერმანია), 5. სერხი ბრუგერა (ესპანეთი), 6. სტეფან ედბერგი (შვედეთი), 7. მაიკლ ჩანგი (აშშ), 8. ანდრეი მედვედევი (უკრაინა), 9. თომას მუსტერი (ავსტრია), 10. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია)

## ფარიკაობა

ევროპის III ჩემპიონატი. 18-24 ოქტომბერი. ლინცი, ავსტრია.

დაშნა. ქალები: 1. რობერტა ჯუსიანი (იტალია) 2. ჯანა ბურჩი (შვეიცარია), 3. ევა-მარია იტნერი (გერმანია) და ელიზა უგა (იტალია);

დაშნა. ვაჟები: 1. პატრიკ დრენერტი (გერმანია), 2. მარიუს სტრზალსკი (გერმანია), 3. გაბორ ტოტოლა (უნგრეთი) და ჟან ფრანსუა დი მარტინო (საფრანგეთი)

ხმალი. ვაჟები: 1. ფელიქს ბეკერი (გერმანია), 2. საბე კოვაჩი (უნგრეთი), 3. შტეფან ვისინგერი (გერმანია) და ალინ ლუპეიკა (რუმინეთი)

რაპირა. ქალები: 1. ანია ფიხტელი (გერმანია), 2. ჟუჟა იანოში (უნგრეთი), 3. ვალენტინა ვეძალი (იტალია) და ლაურა ბადია (რუმინეთი)

რაპირა. კაცები: 1. იოაჰიმ ვენდტი (ავსტრია), 2. უვე რომერი (გერმანია), 3. ინგო ვაისენბორნი (გერმანია) და ტორსტენ ვაიდნერი (გერმანია)

# საჯილდაო

ცხრა კვირის განმავლობაში
ცხრა-ცხრა შეკითხვა სპორტის
ცხრა სახეობის შესახებ

### ბოლოსწინა, მერვე წრე

(1) სად და როდის გაიმართა გაფრინდაშვილ-კუშნირის ბოლო (მერამდენე?) მატჩი? ვინ და რა ანგარიშით გაიმარჯვა? ნონას სეკუნდანტი ვინ იყო?

(2) ფეხბურთის წესებში როდის შეიტანეს ბოლო უმნიშვნელოვანესი ცვლილება, რომელმაც ბურთის გატანა ისევ შესაძლებელი გახადა? რისი წესი შეიცვალა და როგორ?

(3) ქართველ მთამსვლელთაგან ვინ ასულა ევერესტზე? როდის?

(4) რამდენჯერ გასულა თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი ევროპული შეჯიბრებების ფინალში? როდის? ვის წინააღმდეგ? რისთვის მიუღწევია?

(5) ზამთრის რომელ ბურთაობაში მეღავნდებოდა ყბადაღებული „რუსსკაია უდალ"? რუსებმა პირველად როდის, სად და ვისთან წააგეს მსოფლიო პირველობა? რუსთა მძლეველთა ენაზე რა ჰქვია ამ თამაშს? პენალტს რა მანძილიდან ურტყამენ? 1960-70-იანი წლების საუკეთესო რუსი მოთამაშე რა გვარი იყო?

(6) ვინ იყო პირველი ქართველი, ვინც ლიგის რაგბში გადავიდა? როდის? რომელი გუნდი შეიქნა ქართული ლიგის რაგბის პირველი მერცხალი?

(7) ჩვენში თავდაპირველად რომელი ხელბურთი შემოვიდა? მეტწილად რომელი სპორტიდან გადავიდნენ მობურთალნი? რა რიცხვითი შეზღუდვა ედო მოიერიშეთა და მცველთა რაოდენობას?

(8) რომლებია აფროსნობის ოლიმპიური კლასები? მათგან ქალები და ვაჟები რომლებში ასპარეზობენ ერთად და რომლებში ცალ-ცალკე?

(9) ვინ მოიგო ფორმულა-1-ის ჩემპიონატი მკვდარმა? როდის?

შეზღუდული
პასუხისმგებლობის
საზოგადოება
«ლომბარდი»

ჯლიქას ქუჩა, 8

კომერციული ბანკი
Commercial Bank
მინაგობანკი MINAGOBANK

სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

ამერის ჩემპიონატი

# შავ-თეთრი რაგბი

(შაბ) 30.X. ვაკე

ყოჩები 10 (10) ქორები 6 (0

„ყოჩები" — ლ: №6 მხეიძე (8:0); გ: №15 ბარძიმიშვილი (10:0); ს: ბარძიმიშვილი (3:0)
„ქორები" — ა: №10 ძამიაშვილი (10:3); ს: ძამიაშვილი (10:6)
მსაჯი: რამაზ ბერაძე („ლავრი")

ამერში, ვაკის ბაღში მდებარე ვაკის სტადიონზე ერთი თამაშიც გაიმართა, ოღონდ — ულიმღამოდ, უმაყურებლოდ, დაქცეულ-გავერანებულ სტადიონზე, უგასახდელებოდ, ცივ ქარსა და თოშში, და კიდევ ეკალ-ბარდებში, რაკილა ბურთი ერთი-ორჯერ ყოფილი „ჯუნგლების" ადგილას ამოთხრილ ქვაბურში ამოზრდილ ხეებსა და ბუჩქებში გაეჩხირა და იქიდან მისი გამომხსნელი ექსპედიცია დაკაწრულ-დასისხლიანებული დაუბრუნდა მოედანს. გარდა ამისა, გუნდებს თითქმის ერთნაირი შავ-თეთრი ტანისამოსი ეცვათ და მსაჯი კი არა, ვგონებ, მეტოქენიც ვერ არჩევდნენ ერთმანეთს, რაკილა მოედანს გარეთ ერთობ შეამხანაგებული არიან.

იმავე დღეს, იმავე დროს, ვერის ბაღში სულ სხვაგვარი შოუ ტარდებოდა: გაჩახჩახებული, მაყურებლით სავსე დარბაზი, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი კალათბურთელები და მსაჯები, ფერადი გუნდები — ყვითელ-მწვანე „კაქტუსი" და თეთრ-შავწითელი „ვითა", სტვენა და ღრიალი, მომუშავე მიკროფონი და ტაბლო, გამოწვლილვითი სტატისტიკის შემდგენი გოგონები, ცალკე სახელმწიფო ტელევიზია და ცალკე „იბერვიზია", „სარბიელის" ფოტორეპორტიორი, საკალათბურთო თუ საზოგადო პრესა და ა.შ. და ა.შ.

რაგბსაც გადმოხედე მოწყალე თვალით, ღმერთო!

| I ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | — | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 9 | 8 | 0 | 1 | 0 | 215-146 | 16 |
| აზოტი (რუს) | 9 | 7 | 0 | 2 | 0 | 172-119 | 14 |
| ვესტა | 9 | 7 | 0 | 2 | 1 | 258-105 | 13 |
| ამირანი | 9 | 5 | 0 | 4 | 0 | 115- 87 | 10 |
| თბილისი | 10 | 2 | 1 | 7 | 0 | 181-243 | 5 |
| ყოჩები | 10 | 2 | 1 | 7 | 2 | 139-223 | 3 |
| ქორები | 10 | 1 | 0 | 9 | 0 | 106-273 | 2 |

II ჯგუფი

30.X. უნივერსიტეტი 31 აკადემია 5

ტურნეები

# ბიშოფი გალახვას გადაურჩა



დევიდ ბიშოფი

(ოთხ) 27.X. კორდობა (არგენტინა) 37 სამხრეთი აფრიკა 55

(ხუთ) 28.X. ნორთჰემპტონი (ინგლისი) 25 სამხრეთაფრიკელი ბარბაროსები 51

(შაბ) 30.X.

ბორდო. პირველი ტესტი
საფრანგეთი 16 (13) ავსტრალია 13 (10)
საფრანგეთი — ლ: №9 ვებერი (8:10); გ: №12 ლაკრუა (10:10); ს: ლაკრუა (16:13); 2ა: №10 პენო (3:0), №15 სადურნი (13:10)
ავსტრალია — ლ: №8 გევინი (3:5); გ: №10 ლაინაფი (3:7); 2ს: ლაინაფი (3:10, 13:13)
მსაჯი დევიდ ბიშოფი (ახალი ზელანდია)

რედრუთი (კორნუოლის საგრაფო). III თამაში სამხრეთ-დასავლეთი ინგლისი 15 (9) ახალი ზელანდია 19 (6)
სდ — 4ს: კალარდი; ა: პალი; ზელანდია — ლ: №6 ჯოზეფი; გ, 4ს: №15 კუპერი
ბუენოს-აირესი (არგენტინა) 28 სამხრეთი აფრიკა 27

ლიგის რაგბი

ვიგანი, „სენთრალ პარკი". მეორე ტესტი
დიდი ბრიტანეთი 29 (12) ახალი ზელანდია 12 (6)
ბრიტანეთი — 5ლ: დევრო (2), სკოფილდი, ოფაიერი, ლიუელოფი; 4 გოლი: ჯ. დევისი; ა: სკოფილდი. ზელანდია — 2ლ: ვოტსონი, რუპატი; 2 გოლი: ბოტიკა

დრონი იცვალნენ. ზუსტად ორი წლის წინ ავსტრალიელმა „ვოლაბებმა" თამაშთამაშ მოიგეს მსოფლიო პირველობა, ფრანგმა „მამლებმა" კი მეოთხედფინალში შეირცხვინეს თავი, როცა „პარკ დე პრენსზე" ინგლისთან წააგეს. მას მერე „ვოლაბები" ძალმა მიექანებიან, გადახალისებული „მამლები" კი თანდათან ძლიერდებიან ახალი მწვრთნელის, ყოფილი 9 ნომრის პიერ ბერბიზიეს მეთაურობით. საფრანგეთმა წელს ჯერ ხუთი ერის პირველობა მოიგო, მერე სტუმრად ტესტ-სერიაში აჯობა სამხრეთ აფრიკას, შაბათს კი „ვოლაბებთან" პირველ ტესტში გამარჯვებით უკვე გაინაღდა, რომ ავსტრალიასთან სერიას შინ არც ახლა წააგებს.

თამაში კარგი გამოვიდა, მაგრამ ცოტა დააკლდა, ბოლო აყალმაყალიანი რომ ჰქონოდა. თავი ისევ ექსტრავაგანტურმა ახალზელანდიელმა მსაჯმა დევიდ ბიშოფმა გამოიჩინა. საფრანგეთის მიერ ორი წლის წინ წაგებული მეოთხედფინალის შემდეგ მას ბურჯი ონდარი და მწვრთნელი დიუბროკა მიეჭრნენ და შეურაცხჰყვეს, რაც ორივეს კარიერის შეწყვეტად დაუჯდა. ბიშოფი ამჯერად გადაურჩა გალახვას, რაკილა თამაშის ბოლო წუთზე ლაინაფმა მოედნის შუა ხაზიდან კარს ვერ უწია საჯარიმო, რომელიც ბიშოფმა სტუმართა სასარგებლოდ მას შემდეგ დანიშნა, რაც მათ ბურთი წინ დაუვარდათ — აქაო და ფრანგმა ლაკრუამ შებოჭილ ავსტრალიელს ფეხზე წამოდგომა არ დაანებაო. მართალია, ლაინაფს ამჯერად ხელი მოეცარა და ანგარიში ვერ გაათანაბრა, მაგრამ მანამდე გატანილი სამ გოლით ტესტებში პირადი მონაგარი 783 ქულამდე აიყვანა. სამაგიეროდ, ლაკრუამ 69-ე წუთზე შუა ხაზის გამოლმიდან გაიტანა გადამწყვეტი საჯარიმო.

მეორე ტესტი შაბათს, „პარკ დე პრენსზე" გაიმართება. კმაყოფილმა ფრანგებმა კვირასვე გამოაცხადეს, რომ გამარჯვებულ შემადგენლობას არ შეცვლიან. სხვაგვარად აქვთ საქმე „ვოლაბებს", რადგანაც მათ ფიჯულ ფრთის მორკინალს ელი ტაბუას „მამლებმა" მარცხენა მკლავი მოსტეხეს.

წლეულს „ვოლაბთა" მჯობნ ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსს" ბრიტანული ტურნეს პირველი ტესტი 20 ნოემბერს შოტლანდიასთან უწევს. ჯერჯერობით კი სტუმრები ინგლისის მხარეების ნაკრებებს ეთამაშებიან. „ოლ ბლექსს" ერთობ გაუჭირდა სამხრეთ-დასავლეთის გუნდის ძლევა. მასპინძლები უტევდნენ და სამჯერაც დაწინაურდნენ 3:0, 6:3 და 9:6, მაგრამ მეორე ნახევრის დასაწყისში პენე (№8) — ტუიგამალა (11) — ჰენდერსონ (7) — ჯოზეფის ძალისხმევა მატჩის ერთადერთი ლელოთი დაგვირგვინდა, შეხვედრის ბოლო 20 წუთში კი დამრტყმელებმა ორ-ორი საჯარიმო შეაგდეს და სტატუს-ქვოც — ოთხი ქულა ზელანდიელთა სასარგებლოდ — აღარ დარღვეულა.

მეორე ტესტიც წააგო „ოლ ბლექსის" ბიძაშვილმა, ლიგის რაგბის „კივიმ". მიუხედავად იმისა, რომ ზელანდიელმა პროფესიონალებმა პირველი მარცხის შემდეგ ბრიტანეთში დაფუძნებულ თანამემამულეთა ერთი ჯგუფი მეორით შეცვალეს, დაცვა მაინც ვერ გაიმაგრეს. უელსელმა ექსმოყვარულმა დევრომ „კივის" მორიგი ორი ლელო გაუტანა, ბრიტანელთა გარემარბად კი კვლავ გამოჩნდა უსწრაფესი ზანგი მარტინ ოფაიერი. საგულისხმოა, რომ მის წინააღმდეგ თამაშობდა ფრანო ბოტიკა. არადა, ორივენი „ვიგანის" ლიდერები არიან და ამ ტესტში ერთურთს თავიანთვე კლუბის სტადიონზე შეეტაქნენ. სატესტოდ ამდენი მოთამაშის გამწესების გამო „ვიგანს" ლიგის ჩემპიონატის თამაშის გადადების უფლება ჰქონდა, მაგრამ არ იკადრა, ტესტის მეორე დღეს, კვირას, სტუმრად „კასლფორდთან" 0:46 წააგო და ლიდერობაც დაკარგა.

ამასობაში კიდევ ერთი ტურნე დაიწყო. სამხრეთაფრიკელი „ქურციკები" 6-მატჩიანი ვიზიტით არგენტინას ეწვივნენ. „ქარრის თასის" ფინალში „ქურციკთა" ტრანსვაალელ კაპიტან ფრანსუა პინარს ტვინი შეერყა, ამიტომ სამი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ უკეთეს შემთხვევაში ტურნეს ბოლოსთვის დაგეგმილი ტესტებისთვის თუ მომჯობინდება. პინარი კვლავაც კაპიტნად ითვლება, მაგრამ მოედანზე მას დროებით ცვლის ნატალელი ვალ ბართმანი, რომელიც შარშან ყოფილა კაპიტანი.

„ქურციკებმა" პირველ მატჩში, შუა კვირაში კორდობას კი სძლიეს, მაგრამ უქმეებზე წააგეს ბუენოს-აირესთან — გუნდთან, რომელთანაც არა ერთი და ორი სხვა სტუმარიც დამარცხებულა.

ზაალ ბიბინეიშვილი

# ნავსი გატყდა ანუ «გუმარი» კუალა ლუმპურში



„სარბიელის" მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს აფხაზეთის ომი ფეხბურთელთა მეტს არავის შეხებია, ანაც მრგვალი ბურთის მოთამაშეთა გარდა უცხოეთში არავინ დადის.

არა, ბატონო. ჩვენდა სასახელოდ, გვყვანან ფირმაცა და სარაგბო გუნდიც, სახელად „გუმარი", რომლებმაც სექტემბერში იმდენი მოასწრეს, რომ ჯერ რაგბის სათამაშოდ მალაიზიაში იყვნენ, იქიდან ჩამოსულებმა კი მყის აფხაზეთს მიაშურეს საომრად.

ომი და პოლიტიკა იქით იყოს. რაც შეეხება სპორტს, „გუმარი", რომელიც, სხვათა შორის, ამიერკავკასიაში „ფილიპ-მორისის" ერთადერთი პარტნიორია და ქართულწარწერიანი „ელემის" გამოშვების გახერხებითაა ცნობილი, პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართული ფირმაა, რომელმაც იასპარეზა მსოფლიოს კორპორაციულ თამაშებში, რომელიც, თავის მხრივ, წელს მეექვსედ გაიმართა — ამჯერად მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში და კუნძულ პინანგზე.

კორპორაციული თამაშები კომპლექსური ღონისძიებაა, რომელშიც, ოლიმპიური თამაშებისაგან განსხვავებით, მონაწილეობენ არა ქვეყნები, არამედ ფირმები. ეს თამაშები ბიზნესმენთა დასვენება-გაკაჟებას, გაცნობა-დაახლოებასა და, საერთო ჯამში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას ემსახურება.

თავის დროზე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ (სჟა) კარგი რეკლამა გაუკეთა კორპორაციულ თამაშებს, მაგრამ ქართული ბიზნესის წიაღში ისინი, ალბათ, ცოტამ თუ შენიშნა. ეტყობა, ჩვენი საქმიანი ხალხი სპორტს სპონსორობით კი სწყალობს, მაგრამ საქმე სპორტში პირადად მონაწილეობაზე რომ მიდგება, მაშინ შეუჩნდებათ ხოლმე ქართველ ბიზნესმენებს სიზანტის ჭია.

„გუმარი" გამონაკლისია. ამის მიზეზი მის შტატშია საძებარი. ფირმის ყველა თანამშრომელი მოქმედი ან თამაშს ახლახანს თავმინებებული მორაგბეა. „გუმარი" მთელს ქართულ სპორტში თუ არა, ქართულ რაგბში მაინცაა პიონერი იმით, რომ ერთი კლუბის — ტექნიკური უნივერსიტეტის „ყოჩების" მფარველობის გარდა რაგბზე სხვაგვარადაც ზრუნავს. სახელდობრ, მორაგბეებს ასაქმებს და გვარიან გასამრჯელოსაც უხდის საამისოდ, რომ ამათ უკეთ ივარჯიშონ და სხვებივით რაგბს თავი არ მიანებონ — ოღონდაც ითამაშონ, თუნდაც სხვა კლუბის სახელით.

ყოველივე ზემოთქმელის შემდეგ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქმით მხოლოდ „გუმარი" გამოეხმაურა სჟა-ს განცხადებებს და, რაღა თქმა უნდა, საკუთარი ხარჯით, ფათერაკების გავლისა და დიდი ნერვიულობის ფასად მაინც დროულად ჩააღწია შეჯიბრების ადგილს, სადაც ოდენ შვიდკაციან რაგბში იასპარეზა, თორემ არჩევანი დიდი ჰქონდა — შვიდკაცას გარდა კორპორაციული თამაშების პროგრამაში კიდევ 19 სპორტი იყო, მათ შორის ჩვენთვის ერთობ ეგზოტიკური ათბურთულიანი ბოულინგი, ურჩხულა ნავით ნიჩბოსნობა, ნეთბოლი, სქოში, გოლფი და სეპაკიც, ანუ ფეხით ფრენბურთი.

შვიდკაცა მალაიზიის სამხედრო-საჰაერო ძალების კლუბის ბაზაზე იმართებოდა და სამხედროები წარმართავდნენ წესრიგიანად. შეჯიბრება ორ კატეგორიად ტარდებოდა: 30-წელსგადაცილებულთა ტურნირში მხოლოდ ოთხი გუნდი მონაწილეობდა, ძირითად შეჯიბრში კი ოთხ ქვეჯგუფად განაწილებული 15 გუნდი. „გუმარი" — ბიძინა გეგიძე, ზაზა ლეჟავა, გოჩა მაჭავარიანი, ირაკლი გვენეტაძე, ზურაბ ზოიძე, შალვა ჯანელიძე, თორნიკე გეგიძე, გაიოზ მონიავა, მამუკა მაჭავარიანი და ბაჩი გოგუაძე — პლუს არამორაგბე სამეული: მამუკა მიქაშავიძე, პაატა გამბარაშვილი და მალხაზ ზურმუხტიშვილი — გუნდნაკლულ ქვეჯგუფში მოხვდა და თუ ფინალამდე გააღწევდა, იქ თამაშში მოუწევდა ფიჯის ეროვნული ბანკის გუნდთან. აქვე შევნიშნოთ, რომ კუალა-ლუმპურში ფიჯელები და ქართველები იყვნენ ნამდვი უცხოელები, თორემ ყველა სხვა მონაწილე მალაის არქიპელაგელი იყო. მათგან ოთხი წლევანდელი თამაშების ძირითად სპონსორს — „პროტონს" წარმოადგენდა, რომელიც მალაიზიური საავტომობილო ფირმა ყოფილა წელიწადში 120 ათასი ავტომობილის წარმადობით.

„გუმარმა" კეთილმოსურნე მასპინძლების შემწეობით სულზე მიუსწრო პირველსავე თამაშს და მოედანზე გაიჭრა. მეტოქენი მოსალოდნელზე ჭეელები გამოდგნენ და ჩვენებს ორი ლელოც გაუტანეს. მერე „გუმარი" თამაშის იმტაზე მოვიდა და მანაც ორი ლელო გაიტანა, მაგრამ მეტოქეზე ერთით ნაკლები გარდასახვა შეაგდო და დამარცხდა.

ქვეჯგუფის მეორე თამაში ჩვენებმა ლელობით 5-1 მოიგეს და მეოთხედფინალშიც გავიდნენ, სადაც ერთი პირობა კარგადაც ითამაშეს და დაწინაურებაც კინაღამ მოახერხეს, მაგრამ ბოლოს მაინც ორი ლელოთი (2-4) დამარცხდნენ და გავარდნენ, რაც, თუ გულწრფელი ვიქნებით, სულაც არ ყოფილა უმთავრესი.

მთავარი იყო ის, რომ ნავსი გატყდა და ქართულმა გუნდმა ისევ გააღწია უცხოეთში, ასიც ესოდენ დიდ ფორუმზე, თანაც საკუთარი ხარჯით. როგორც ბიზნესმენებმა, გუმარელებმა ბევრი კავშირიც დაამყარეს საქმიანი სამყაროს სხვა წარმომადგენლებთან; შემეცნებითი თვალსაზრისით ნახეს ერთობ კოლორიტული, ეკლექტიკური ქვეყანა, სადაც ყველანაირი კულტურაა წარმოდგენილი; თამაშების სხვა მონაწილეთა დარად დაესწრნენ მალაიზიის სულთნის ნადიმს, ცეკვა-თამაშს, ფოიერვერკსა და მისთანებს.

რაც შეეხება რაგბს, „გუმარმა" გაიცნო ფიჯელები, რომელთაგან ორი — ფილიმონი სერუ და ვესი რაულუნი ეროვნული ნაკრებისვარსკვლავები არიან. გუნდი დაიახლოვა მალაიზიის რაგბის კავშირმა და საგაისოდ მიიწვია ათკაცაზე, რომლის პოპულარიზაციასაც მალაიზიამ არანაკლები ამაგი დასდო, ვიდრე ჰონკონგმა შვიდკაცას წარმოჩინებას. „გუმარი" უეჭველად გამოვა 1994 წლის თამაშებშიც, რომელიც იოჰანესბურგში გაიმართება, იქ კი რაგბი რელიგიის ტოლია.

ბოლოს შევნიშნოთ, რომ „გუმარს" ქართული რაგბის საკეთილდღეოდ კიდევ არაერთი ჩანაფიქრი აქვს ხორცშესასხმელი.











# კრი-კეტი და კეტ-ბურთი

**ჩრდილოეთამერიკელებმა ოთხი ცნობილი თამაში მოიგონეს და თითოეული მათგანი ინგლისურ წინამორბედს დაუპირისპირეს: ამერიკულ-კანადური ბურთაობა რაგბს ცვლის, შაიბიანი ჰოკეი — ბალახის ჰოკეის, კალათბურთი — ინგლისურ ნეთბოლს, კეტბურთი კი — კრიკეტს.**



ეხლა, როგორც ჩანს, კეტბურთი და კრიკეტი შერიგების გზას ადგანან. რა თქმა უნდა, ამ თამაშების შერწყმაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რაკილა ორივეს მდიდარი ტრადიცია აქვს და შინაარსითაც ერთობ განსხვავდება, მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ ერთი თვის წინ ლონდონის საკრიკეტო „ოვალზე“ 5000 კაცი დაესწრო კეტბურთის საჩვენებელ თამაშს, რომელშიც ამერიკის ლიგის წარმომადგენელი „ბოსტონ რედ სოქსი“ მონაწილეობდა.

უფრო საინტერესოა ის, რომ მატჩში ცნობილმა მოკრიკეტეებმა ითამაშეს და აღიარეს კიდეც, კეტბურთიც კარგი თამაში ყოფილაო, მიუხედავად იმისა, რომ კეტს კრიკეტის ტაფელასავით მარჯვედა და ხშირად ვერ სცემდნენ ბურთს. ეს გასაკვირი არცაა, რაკილა თუ ერთდღიან კრიკეტში გუნდი საშუალოდ 200 გარბენს აროვებს ხოლმე, კეტბურთის მატჩში 10 თუ მოაგროვა, დიდი ამბავი იქნება.

## ჰონკონგურ ყაიდაზე

კრიკეტის სამყაროში სხვაგვარი ქოთქოთიცაა. ბრიტანეთის ჩინური სამფლობელო ჰონკონგი იმითაა ცნობილი, რომ ბურთაობების მინიატურული ვერსიების დანერგვასა და წარმოჩენას ცდილობს. ჰონკონგელებმა გააცნეს მსოფლიოს შვიდკაციანი რაგბი და ხუთკაციანი ფეხბურთი.

ჰოდა, კრიკეტი რითაა ჯაბანიო და ჰონკონგშიც ამ შემოდგომაზე მეორედ მოაწყვეს ექვსკაციანი კრიკეტის ორდღიანი ტურნირი, რომელშიც ცხრა ეროვნული ნაკრები მონაწილეობდა.

ექვსკაციან კრიკეტს ბევრი მოტრფიალე გამოუჩნდა, ავტრალიელებმა კი ისე დაიგემოვნეს ეს თამაში, რომ საგაისოდ ეროვნული ნაკრების განრიგში ექვსკაციან შეჯიბრებებში მონაწილეობასაც გეგმავენ.

ექვსკაცაში გუნდი ხოლზე ერთხელ შედის და ბჯეს 5 წყების (ანუ 30 მოწოდების) განმავლობაში იცავს. სხვაფრივ, წესები ერთდღიანი კრიკეტის ანალოგიურია.

ჰონკონგში წელს გაიმარჯვა ინგლისმა, რომელმაც ფინალში 3 ბჭით სძლია შრი-ლანკას. მესამე ადგილისთვის ავსტრალიამ სამხრეთ აფრიკას მოუგო, მეხუთე ადგილისათვის შარშანდელმა ჩემპიონმა პაკისტანმა ახალი ზელანდია დაამარცხა, მეშვიდე ადგილისათვის კი ინდოეთმა აჯობა ჰონკონგსა და ვესტ-ინდოეთს და სანუგეშო პრიზი — ლანგარიც ირგუნა.

## ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო!

არ ნელდება საკრიკეტო ინტრიგებიც: დავაა ტურნეების განრიგის გამო, ნეიტრალური მსაჯების დანიშვნის შესახებ, ხშირია ბოიკოტები და კონტრ-ბოიკოტები.

ასე, მაგალითად, ამ კვირის ბოლოს კალკუტაში იწყება ერთდღიანი კრიკეტის დიდი შეჯიბრება, რომელიც ბენგალიის კრიკეტის ასოციაციის დაარსების მე-60 წლისთავს ეძღვნება. ინდოეთის, შრი-ლანკის, ვესტ-ინდოეთის, სამხრეთი აფრიკისა და ზიმბაბვეს მხარდამხარ უნდა ეთამაშა მსოფლიო ჩემპიონ პაკისტანსაც, მაგრამ ჰინდუ ფუნდამენტალისტთა მუქარის გამო პაკისტანელებმა ღონისძიებაში მონაწილეობა იუარეს.

ინდოეთმა პაკისტანის უარი უპასუხოდ არ დატოვა. იგი გამოაკლდა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, კერძოდ კი შარჯაში ამჟამად მიმდინარე „ჩემპიონთა თასს“, რომელშიც პაკისტანი, შრი-ლანკა და ვესტ-ინდოეთი მონაწილეობდნენ. საბაბი ერთობ მიამიტური იყო: აქაო და არაბი ორგანიზატორები რელიგიური ერთობის გამო პაკისტანის სასარგებლოდ მიკერძოებულები არიანო. რა უდევს საფუძვლად ამ მიკერძოებაში, ძნელი დასადგენია, ისე კი, როგორც ვარაუდობენ, ინდოელები განერიდნენ უდაბნოში გაშენებულ ოაზისს, სადაც მრავლად ცხოვრობენ და მუშაობენ პაკისტანიდან გადახვეწილნი.

ინდოეთი პაკისტანის გარდა ახალ ზელანდიასაც ედავებოდა. გაისად, გაზაფხულზე ინდოეთი ამ ქვეყანას უნდა ეწვიოს. მაგრამ დახეთ უბედურებას — მასპინძლებმა სტუმრებს ოდენ ორი მოსამზადებელი მატჩისა და ოთხი თითო დღიანი თამაშის გამართვა შესთავაზეს. ტესტი კი ვითომც გამორჩათ. ამის პასუხად ინდოეთმა ტესტის თამაში დაიჟინა, აქაო და რაღაც თითოდღიანების სათამაშოდ ამხელა გზაზე როგორ ჩავიდეთ ან ამოტოლა ხარჯი რისთვის გავიღოთო. ტურნე ერთი პირობა კიდეც გაუქმდა, მაგრამ ზელანდიამ დათმო და მოდავენი ტესტზე შეთანხმდნენ.

საგანგაშო ზარი დაარისხა ახალი ზელანდიის კრიკეტის საბჭომ, აქაო და ჩვენ, შრი-ლანკა და ზიმბაბვე არავის ვჭირდებით, ამ სამეულთან საქმის დაჭერას ყველა ერიდება და თუ ასე გაგრძელდა, გავირიყებით, რითაც მსოფლიო კრიკეტიც იზარალებსო. ამიტომ საერთაშორისო საბჭომ ინებოს და ტურნეების განრიგი ისე მოაწესრიგოს, რომ ბოგანოებსაც გვერგოს საკადრისი წილიო.

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“ — ამაზე უთქვამთ. ახალი ზელანდია იმიტომ არიდებდა თავს ინდოეთთან ტესტის თამაშს, რომ უახლოესი ერთი წლის მანძილზე პაკისტანს უნდა უმასპინძლოს, მერე — ინგლისს ეწვიოს, ახლა კი ავსტრალიაში მოგზაურობს, მაგრამ, რაგბის გუნდისგან განსხვავებით, ერთობ წარუმატებლად. ზელანდიელებმა უკვე სამი თამაშის წაგება მოასწრეს: ჯერ პერთში წააგეს ერთდღიანი ავსტრალიის კრიკეტის ხელისუფალთა წვეულ გუნდთან, მერე იქვე, ოთხდღიან თამაშში ძათთვის სარეკორდო მარცხი — შესვლითა და 8 გარბენით იწვნიეს დასავლეთ ავსტრალიასთან, ბოლოს კი წააგეს ერთდღიანი ავსტრალიის სპორტის ინსტიტუტის გუნდთანაც. ამდენი მარცხი სტუმრებმა იმით ახსნეს, რომ 6 თვეა, არსად გვითამაშიაო.

## „ხმა მიეცით მოლიტორს!“

ეხლა კეტბურთის ახალი ამბებიც მიმოვიხილოთ: წინა შაბათს ჩრდილოეთ ამერიკაში სეზონი დამთავრდა „მსოფლიო სერიით“, რომელშიც მეორე წელია, გაიმარჯვა არა შტატების, არამედ კანადის გუნდმა — „ტორონტო ბლუ ჯეიზმა“, რომელშიც ერთი კაცი ყოფილა კანადელი.

ტორონტოელი პოლ მოლიტორი „სერიის“ უძვირფასეს მოთამაშედ სცნეს. მეორე დღეს კანადაში არჩევნები იმართებოდა და სახუმარო პლაკატებიც გამოჩნდა: „ხმა მიეცით პოლ მოლიტორსაო!“

„სერიამდე“ ორივე მონაწილემ თავ-თავისი ლიგის პლეი-ოფები ერთნაირი ანგარიშით 4:2 მოიგო. ამერიკის ლიგაში ტორონტომ ჩიკაგოს აჯობა, ეროვნულში კი ფილადელფიამ — ატლანტას.

თითქოს ბედისწერა იყოო, „მსოფლიო სერიაც“ 4:2 (8:5, 4:6, 10:3, 15:14, 0:2, 8:6) დასრულდა. თავიდანვე ცოტა ვინმეს თუ აეჭვებდა კანადელთა გამარჯვება, რაკილა მეტოქენი არათუ სხვადასხვა ქვეყანასა და ლიგას, არამედ განსხვავებულ სამყაროებს წარმოადგენენ. ტორონტო ულტრათანამედროვე დარბაზში — „სქაიდოუმში“ თამაშობს ხელოვნურ საფარზე და ზეპროფესიული, საათივით მომართული კლუბია. ფილადელფია, პირიქით, მამა-პაპურ, ბალახისსაფარიან ვეტერანთა სტადიონზე ასპარეზობს და კოხტაპრუწა ტორონტოსაგან იერითაც განირჩევა: ფილადელფიელებს გრძელი თმები და წვერ-ულვაში ამშვენებთ და ერთთავად თამბაქოს ღეჭვასა და ფურთხებაში არიან. ტორონტო ობიექტურადაც ძლიერი ჩანდა: ამერიკის ლიგის საუკეთესო დამრტყმელთა ათეულში ოთხი ტორონტოელი — ჯონ ოლორუდი, რიკი ჰენდერსონი, პოლ მოლიტორი და რობერტო ალომარი მოხვედრილიყო, ეროვნული ლიგის პირველ ათეულში კი ერთ ფილადელფიელს — ჯონ კრუკს შეეღწია.

„სერია“ „სქაიდოუმში“ დაიწყო. პირველ თამაშში მეხუთე შესვლამდე ფილადელფია სამჯერ დაწინაურდა, მაგრამ მერე ყველაფერი ოლორუდის ჰოუმრანმა გადაწყვიტა. მეორე შეხვედრა უღიმღამო გამოვიდა, მაგრამ მაინც დაამშვენა ფილადელფიელი ჯიმ აიზენრიქის 391-ფუტიანმა დარტყმამ, რომლის შედეგადაც ბავშვობიდან ხეიბარმა კეტბურთელმა ჰოუმრანი მიითვალა. ანგარიში გათანაბრდა 1:1.

ერთდღიანი შესვენების შემდეგ მონაწილენი ფილადელფიაში გადავიდნენ და სამი თამაში იქ გამართეს. სამივეს წვიმა შეემთხვა და საკმაოდ შეაფერხა. ტორონტომ იოლად მოიგო პირველი, მეორე კი ისე გამორჩეული გამოდგა, რომ უეჭველად კეტბურთის მატიანეში შევა. იმ დღეს ვეტერანთა სტადიონზე შეკრებილი 62 ათასი კაცი თვალს არ უჯერებდა, როცა მათი რჩეული გუნდი, რომელიც ბოლოსწინა შესვლისას 5 შემორბენით იგებდა, მაინც დამარცხდა. ამ დღეს „სერიის“ ლამის ყველა რეკორდი გაუმჯობესდა: ბურთს კეტი 31-ჯერ დაჰკრეს, მოაგროვეს 29 შემორბენი, 14-ჯერ გაიხეირნეს მტყორცნელის უვარგისობის გამო. ალინუსხა 7, 6, 5 შემორბენიანი შესვლებიც, მასპინძლებს ვე-



პოლ მოლიტორი

რც ლენი დაიქსტრას გამორჩეულმა შედეგმა უშველა. ტორონტო 3-1 დაწინაურდა.

მესამე თამაშში მასპინძელთა მტყორცნელმა კურტ შილინგმა ხელი გამოიღო და სტუმრები მშრალზე დატოვა — ერთი შემორბენის მითვლაც არ აღირსა, მაგრამ „სერია“ დასაბოლოვებლად ისევ ტორონტოში გადაბარგდა და პირველსავე შეხვედრაში მასპინძლებმა იმარჯვეს. ისინი თავიდანვე საკმაოდ დაწინაურებულიყვნენ, მაგრამ ბოლო, მეცხრე შესვლის წინ უკვე ერთი შემორბენით აგებდნენ. აქ იმარჯვა ჯო კარტერმა და სამმაგი ჰოუმრანით თამაშსა და „სერიას“ წერტილი დაუსვა.

აშშ-ში კეტბურთელთა ორი ლიგაა: პროფესიონალ კეტბურთელთა ეროვნული ლიგა (NL), რომელიც ჯერ კიდევ 1876 წელს შეიქმნა ნიუ-იორკში და შედარებით ახალგაზრდა (1901) ამერიკის ლიგა (AL).

ორივე ლიგა დამოუკიდებელ ჩემპიონატს ატარებს, შემდეგ კი გამარჯვებულები ფინალურ სერიაში ხვდებიან ერთმანეთს, რასაც ამერიკელები პომპეზურად „მსოფლიო სერიას“ ეძახიან.

90 წლის მანძილზე ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია ამერიკის ლიგის გუნდმა „ნიუ-იორკ იანკის“, რომელმაც 1923-78 წლებში 22-ჯერ მოიგო „მსოფლიო სერია“. სწორედ, ძირითადად ნიუ-იორკელთა გამარჯვებების ხარჯზე ამერიკის ლიგა დიდი უპირატესობით ჯობნის ეროვნულს — 53:37.

მაყურებელთა დასწრების რეკორდი 1959 წლის 6 ოქტომბერს დამყარდა სერიის მე-5 მატჩზე „ლოს-ანჯელეს დოჯერსსა“ და „ჩიკაგო რედ სოქსს“ შორის. იმ დღეს, ლოს-ანჯელესის „მემორიალ კოლიზეუმზე“ 92706 მაყურებელი მივიდა.

ბოლო ორი წლის ჩემპიონი „ტორონტო ბლუ ჯეის“ ერთადერთი არაამერიკული გუნდია, ვინც „მსოფლიო სერიაში“ იმარჯვა. ტორონტოელთა შემადგენლობაში „მილუოკი ბრევერსიდან“ წელს გადასული პოლ მოლიტორი ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს. სერიაში მისი 24 დარტყმიდან 12 ზუსტი აღმოჩნდა, რის შემდეგაც მისმა გუნდმა ქულა მოიპოვა. ეს ძალზე მაღალი მაჩვენებელია. წლეულს, მოლიტორის ჯამაგირი სამნახევარ მილიონ დოლარს შეადგენს. ჩემპიონატში მონაწილე 28 გუნდიდან კი ყველაზე დიდ გასამრჯელოს იღებენ „ნიუ-იორკ მეთსის“ აუტფილდი ბობი ბონილა — 6,2 მილიონი და „ჩიკაგო ქაბსის“ მეორე ბაზის მოთამაშე რაინ სანდბერგი — 5,97 მილიონი.

### კეტბურთი. „მსოფლიო სერიის“ გამარჯვებულები

ნიუ იორკ იანკის (AL) — 22 (1923, 27, 28, 32, 36, 37, 38, 39, 41, 43, 47, 49, 50, 51, 52, 53, 56, 58, 61, 62, 77, 78)
სენ-ტლუის კარდინალს (NL) — 9 (1926, 31, 34, 42, 44, 46, 64, 67, 82)
ბოსტონ რედ სოქს (AL) — 5 (1903, 12, 15, 16, 18)
ნიუ-იორკ ჯაიანთს (NL) — 5 (1905, 21, 22, 33, 54)
პიტსბურგ პაირათს (NL) — 5 (1909, 25, 60, 71, 79)
ფილადელფია ეთლეტიკს (AL) — 5 (1910, 11, 13, 29, 30)
ცინცინატი რედს (NL) — 5 (1919, 40, 75, 76, 90)
ლოს-ანჯელეს დოჯერს (NL) — 5 (1959, 63, 65, 81, 88)
დეტროიტ თაიგერს (AL) — 4 (1935, 45, 68, 84)
ოკლენდ ეთლეტიკს (AL) — 4 (1972, 73, 74, 89)
ბალტიმორ ორიოლს (AL) — 3 (1966, 70, 83)
ჩიკაგო უაიტ სოქს (AL) — 2 (1906, 1917)
ჩიკაგო ქაბს (NL) — 2 (1907, 08)
კლივლენდ ინდიანს (AL) — 2 (1920, 48)
ნიუ-იორკ მეთს (NL) — 2 (1969, 86)
მინესოტა თვინს (AL) — 2 (1987, 91)
ტორონტო ბლუ ჯეის (AL) — 2 (1992, 93)
ბოსტონ ბრეივს (NL) — 1 (1914)
ვაშინგტონ სენატორს (AL) — 1 (1924)
ბრუკლინ დოჯერს (NL) — 1 (1955)
მილუოკი ბრეივს (NL) — 1 (1957)
ფილადელფია ფილის (NL) — 1 (1980)
კანზას სიტი როიალს (AL) — 1 (1985)

## აქეთური, იქითური

გაეროს გენერალური ასამბლეა სპორტით დაინტერესდა. სახელდობრ, 1994 წელი სპორტისა და ოლიმპიური იდეალების წლად გამოაცხადა. გარდა ამისა, გაერომ გაიხსენა ძველ ბერძენთა წესი და მოშუღარებს სთხოვა, რომ ოლიმპიადების დროს დროებით მაინც დაზავდნენ. ომით გაპარტახებული სარაევოს წინადადებით ზავი თამაშების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე უნდა ჩამოვარდეს და თამაშების დახურვის შემდეგ კიდევ სულ ცოტა ერთი კვირა გასტანოს.

*

მას შემდეგ, რაც ლენოქს ლუისთან შეხვედრაში გაილახა, ფრენკ ბრუნო ეთათბირა ოჯახს და გადაწყვიტა, კრივს თავი არ დაანებოს. სამაგიეროდ, მარცხი იწვნია ლუისის მორიგ მეტოქედ შეგულვებულმა თეთრკანიანმა მძიმეწონოსანმა ტომი მორისონმა. იგი პარასკევს ოკლაჰომაში ბრიტანელმა მაიკლ ბენთმა პირველი 46 წამის განმავლობაში სამჯერ დაანოკდაუნა და რეფერიმაც შეწყვიტა მატჩი. აწ უკვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი (WBO-ის ვერსიით) მორისონი ვეღარ შეერკინება მსოფლიოს ჩემპიონს (WBC-ის ვერსიით) ლუისს.

*

უცხოეთის მასმედიას არ გამოპარვია, რომ ბოლო წლებში მსოფლიოს მოწინავე სამოთხილამურეებს კუნთები ერთობ დაებერათ. როგორც ეჭვობენ, ამგვარი ფერისცვალება სტეროიდების გამოყენების შედეგია. ეტყობა, სამთო-სათხილამურო სპორტში დოპინგ-კონტროლი ლმობიერად ტარდება.

*

სქვოშის სამყაროში კრიზისია. ჯერ იყო და გაუქმდა ევროპის ღია პირველობა, რომელიც ნოემბერში გერმანიის ქალაქ კილში უნდა გამართულიყო. მიზეზი წარმოების საყოველთაო შეკვეცაა, რამაც სქვოშის ევროპულ ტურს სპონსორები დააკარგვინა. მერე იყო და პაკისტანელ მსოფლიო ჩემპიონს ჯანშირ ხანს ორგანიზატორებმა ურჩიეს, არ იასპარეზოს ელიტარულ საერთაშორისო შეჯიბრში, რომელიც დეკემბერში ბომბეიშია დანიშნული და სადაც მსოფლიოს პირველი რვა ჩოგანი უნდა შეიკრიბოს. საქმე ისაა, რომ ჰინდუ ექსტრემისტები თურმე ვერ იგუებენ მუსლიმი პაკისტანელის კორტზე ხილვას. და ბოლოს, პოსტზე ოთხწლიანი მოღვაწეობის შემდეგ გადადგა პროფესიონალ მესქვოშეთა ასოციაციის თავკაცი, ავსტრალიელი კრის დიტმარი, რომელიც ამავე დროს მსოფლიო კლასიფიკაციით მეორე ადგილზეა. დიტმარიც შეუწუხებია როგორც საყოველთაო რეცესიას, ასევე ჯანშირის აქნეს — იგი თავისი საქციელით, თურმე ნუ იტყვით სქვოშს იმიჯს უფუჭებს.

*

როცა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ პოლონეთის გარდა რუსეთსაც მისცა ერთწლიანი საერთაშორისო დისკვალიფიკაცია, დოპინგის ლიანგური ხმარებისათვის, რის გამოც დასჯილებს ავსტრალიის მსოფლიო პირველობა გაუცდებათ, რუსული ძალოსნობის მამამ, ვინმე პოლიაკოვმა ფედერაციას სთხოვა, ეგებ 50 ათასი დოლარი ჯარიმა გვაკმაროთო, ჩვენი გუნდი კი შეჯიბრებაზე დაუშვათო. ფედერაციამ მიუგო, რომ იგი ძალ-ღონეს არ დაიშურებს დოპინგის აღმოსაფხვრავად, რის გამოც სასჯელის შემსუბუქებას თურმე არც აპირებს.

*

წინა კვირას „იაპონიის დიდი პრიზისთვის“ რბოლისას ჩამორჩენილთა ჯგუფმა, რომელთა შორის ახალბედა ირლანდიელი დევიდ ერვინიც იყო, რამდენჯერმე გზა არ უტია ერთი წრით დაწინაურებულ და წამოსწრებულ ლიდერ აირტონ სენას. ბრაზილიელმა განაცხადა, ავტომობილიზმის ფედერაციამ ურჩთა წინააღმდეგ ზომები უნდა მიიღოსო, მაგრამ, როგორც ჩანს, გიუმაჟი სენა ველარ დაელოდა განაჩენს და სამართალი თავად გააჩინა: მიიჭრა „ჯორდანის“ სახელოსნოში, დამხვდურები ერთი კარგად გალანძღა, ერვინი კი ნოკდაუნში გაგზავნა. ფედერაციამ სენაცა და ერვინიც საქმის გასარჩევად 9 დეკემბერს დაიბარა.

*

ბოსტონში გაიხსნა გადახურული სპორტული კომპლექსი, რომელსაც ამ ზაფხულს გარდაცვლილი 27 წლის კალათბურთელის „სელტიკსის“ კაპიტნის რეჯი ლუისის სახელი დაენათლა.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი“

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ ბიბინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)